# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

 დაარსებულია 1918 წელს. 

ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

№ 233 (5834)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ნინელი ჭანკვეტაძე:

# ხელისუფლებამ ადამიანები ქვეყნის მტრებად და მოკეთეებად დაყო

*ხელისუფლება ხშირად თავს იმართლებს, ყველა კმაყოფილი ვერ იქნებაო, ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ნურც ასე გადამეტებით „კარგად“ ნუ ვიქნებით, ჩემო ხელისუფალნო, რომ ერთი ნაგავში იქექებოდეს, ხოლო თქვენ აღარ იცოდეთ, რა ჭამოთ, რა სვათ, რა ჩაიცვათ...*

2-4



გულწრფელი საუბარი



პოზიცია

## გიორგი თარგამაძე: ადამიანები, რომლებიც მარტინ პომპადურთან მთავრობის პოზიციების დამტკიცებას ცდილობდნენ, ბოკერია და ლომაია იყვნენ

3

## „განმეცსამს“ ახალი შეფი ჰყავს

5

ახალი სახე




საქართველოში ძალადობა დასრულდება 2

როგორი ფასები იყო 7 ნოემბრის „ბაზრობაზე“? 5

ხმის მეტი არაფერი დაგვიტოვა ამ ხელისუფლებამ 3

როგორ ან რატომ ანსხვავებენ ერთმანეთისგან აკადემიკოსებს 8

თაღლითები ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებით საქმიანობენ 9




6-7

# რისთვის გვნამლავდნენ, რატომ გვირტყეს და გაგვიმეტეს?

*იმ ავბედით 9 მარტსაც, 9 აპრილსაც ხალხს მხარში ედგა მილიცია. ნოემბრის ვარდების თანაშემოქმედიცაა პოლიცია. აი, ვანოს მიერ ნაჩეკმა პოლიცია-ბარტყებმა კი უტირეს საკუთარ ხალხს დედა...*

# ადუღებული დრო

- რამდენადაც ვიცი, ჩვენი პრეზიდენტი ამაყობდა, მე გავეცი ბრძანება, სასტიკად გასწორებოდნენ მომიტინგეებსო. თუ ბრძანება დანამდვილებით, მისი გაცემულია, ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს, რადგან ეს არის დანაშაული ხალხის წინაშე



**◎ ინფორმაცია**

## საქართველოში ძალადობა დასრულდება



**ერთიანი ეროვნული საბჭოს საპრეზიდენტო კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ მთაწმინდის პანთეონში პირობა დადო, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში ძალადობა დასრულდება.**

— მინდა, თავისუფალი ადამიანების თავისუფალი ქვეყანა ავაშენოთ. პირობას ვდებ, რომ საქართველოში ძალადობა და უსამართლობა მალე დასრულდება, ველარ შელახავენ ადამიანის უფლებებს, ველარ ამოუკერავენ პირს მედიას, საზოგადოებას შეურაცხყოფას ველარ მიაყენებენ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მომავალ თაობებს გაყიდული საქართველო დავუტოვოთ, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

მისივე თქმით, ისინი, ვისაც სურთ, ქვეყნის მომავლის ხარჯზე ქართველი ხალხი იყიდონ, ჩვენს ხალხს არ იცნობენ.

პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ საქართველოში საკუთარ ხალხზე ძალადობა აღარავის ეპატიება.

— მომეცით უფლება, ჩემი პირობა შევასრულო. სიტყვა 43 წლის მანძილზე არ გამოტეხავს და არც არასოდეს გავტეხ. მე ვიქნები დაქირავებული ხელისუფალი, რომელიც საკუთარი ხალხის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული, — აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

ერთიანი ეროვნული საბჭოს წევრის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, ლევან გაჩეჩილაძე ნებისმიერი ტელეკომპანიის ეთერში მის ერთადერთ კონკურენტთან — მიხეილ სააკაშვილთან დებატებში მიიღებს მონაწილეობას.

— ქართველმა ხალხის კანდიდატის — ლევან გაჩეჩილაძის ერთადერთი კონკურენტი სწორედ სააკაშვილია და იგი მხოლოდ სააკაშვილთან დებატებში მიიღებს მონაწილეობას, — განაცხადა ხიდაშელმა.

მთაწმინდის პანთეონში, ილია ჭავჭავაძის საფლავთან გუშინ ლევან გაჩეჩილაძის გამოსვლას ქართული კულტურის ცნობილი სახეებიც ესწრებოდნენ, მათ შორის — ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ბასა ფოცხიშვილი, ნინო ბურდული, ჯემალ სეფიაშვილი, გურამ ფირცხალავა.

## სალომე ზურაბიშვილი ევროპული ტურნედან დაბრუნდა



**გუშინ „საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ევროპული ტურნედან დაბრუნდა.**

სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთში 16 ნოემბერს გაემგზავრა, სადაც გამართა შეხვედრები გაეროს გენერალურ მდივანთან ხავიერ სოლანასთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის დიპლომატებთან, უმრავლესობის პარტიის ლიდერთან და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგესთან.

როგორც სალომე ზურაბიშვილის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, პარიზში სალომე ზურაბიშვილი სიტყვით ხუთ კონფერენციზე გამოვიდა, სადაც ისაუბრა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და გაერთიანებული ოპოზიციის სამომავლო გეგმებზე.

საფრანგეთში სალომე ზურაბიშვილი ქართული დიასპორის 200-მდე ძველ და ახალ წევრს შეხვდა, ასევე შეხვედრა გამართა ბერლინში ქართულ დიასპორასთან.

ზურაბიშვილი ბერლინში გაერთიანებული ეროვნული საბჭოს სახელით შეხვდა კანცლერის დიპლომატიურ მრჩეველს და საქართველოში მიმდინარე მოვლენები გააცნო.

## სააკაშვილის მხარდამჭერებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს

**„ნაციონალურმა მოძრაობამ" პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერთა სიების შეგროვების პროცესი დაიწყო.**

ამის თაობაზე საარჩევნო შტაბის სახელით განცხადება დეპუტატმა გიგი წერეთელმა გააკეთა.

მისი თქმით, ხელმოწერების შეგროვება კანონის თანახმად განხორციელდება და ამას „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან უფლებამოსილი პირები ან პარტიის აქტივისტები გააკეთებენ, რათა ადგილი არ ჰქონდეს თვითშემოქმედებას და რაიმე გაურკვევლობას.

დეპუტატის განცხადებით, თუ რაიმე ინფორმაცია ექნება ამომრჩეველს, მათ შეუძლიათ დარეკონ და შეატყობინონ ამის თაობაზე შემდეგ ტელეფონის ნომერზე 92-30-84.

მხარდამჭერთა სულ მცირე 50 ათასი ხელმოწერა პრეზიდენტობის კანდიდატებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 5 დეკემბრამდე უნდა წარადგინონ, სადაც კანდიდატის საბოლოო რეგისტრაცია განხორციელდება.

**ინტერპრესნიუსისა და ჰი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**◎ გულწრფელი საუბარი**

## ნინელი ჭანკვეტაძე: ხელისუფლებამ ადამიანები ქვეყნის მტრებად და მოკეთეებად დაყო

**ხელისუფლება ხალხზე ზრუნვის არნახულ რეკორდს ამყარებს. ხმა გავრცელდა, ყველასთვის საყვარელ მსახიობს ნინელი ჭანკვეტაძეს წართმეულ ბინას უბრუნებენო. „ქართული აკადემიის" წევრთან ჩვენი საუბარი მხოლოდ ამ საკითხმა როდი განაპირობა, მსახიობს ვთხოვეთ ქვეყნის ბოლო მოვლენების შეფასება.**

**— ნოემბრის მოვლენების შემდეგ ხელისუფლება რადიკალურად შეიცვალა, მრავალი რამ დათმო, ძალიან გულაჩუყებულია. როგორ ფიქრობთ, ეს ხალხისთვის ისევ თვალში ნაცრის შეყრაა წინასაარჩევნოდ ხმების მოსაგროვებლად თუ მათი ტკივილის გულთან ახლოს მიტანა?**

— ძალიან მომწონდა კლიპები — იტყუება, იტყუებაო, რომ აწერდნენ პრეზიდენტის გამოსვლას. ჩემთვის სწორედ ასეთი ტყუილია, რაც ახლა ხდება, ანუ იგივე თვალში ნაცრის შეყრაა. ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი მიხვდება, რომ თუკი ოთხი წლის განმავლობაში მისთვის არაფერი გაკეთებულა და ჩვენმა პრეზიდენტმა მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ ხალხს უჭირს და დაბალი ხელფასები აქვთ, ეს არც ახლა უნდა დაიჯეროს. პრეზიდენტს სჭირდება იმ ადამიანების შეგროვება, ვინც მას 5 იანვარს ხმას მისცემს.

**— იქნებ პრეზიდენტი მართლა ნანობს მომხდარს და ყველაფერს გულწრფელად აკეთებს?**

— ასეთი სინანული მისგან ნამდვილად არ მომისმენია. თქვენ თუ გაიგეთ, მითხარით და დაგეთანხმებით.

არა მხოლოდ აქციის მონაწილეებმა, არამედ ყველამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა მშვიდობიანი მომიტინგეების — მოშიმშილეების, ქალების, ბავშვების, ახალგაზრდების წინააღმდეგ;

თავად ვმონაწილეობდი იმ მიტინგში, მეც და სხვებსაც ქუჩა-ქუჩა შეიარაღებული ადამიანები მოგვდევდნენ, ბევრი მათგანი უფორმოდ იყო, ტანზე ფორმა ეცვათ, ქვევით ჯინსები მოუჩანდათ. ბევრი პლასტმასის თოფით და ხელკეტით იყო შეიარაღებული. ისიც გავიგე ჭორად, რომ ამ ჯოხებს და ლაბადებს მერიაში არიგებდნენ და მოხალისეებს მოუხმობდნენ, ჩაიცვითო. რაც უნდა იძახონ, ხელისუფლება ზრუნავს ადამიანებზეო, როცა 50-60 წლის ქალს ქუჩაში მისდევ და წაქცეულს ხელკეტით უსწორდები, ზრუნვაა?

ასე რომ, ჯერჯერობით ჩვენი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლისაგან სიტყვაც კი ვერ მოვისმინე, ეთქვათ, დიახ, ძალაუფლებას გადაამეტეს და ყველას დავსჯით, ვინც ეს მოიმოქმედაო. რამდენადაც ვიცი, ჩვენი პრეზიდენტი ამაყობდა, მე გავეცი ბრძანება, სასტიკად გასწორებოდნენ მომიტინგეებსო. თუ ბრძანება დანამდვილებით, მისი გაცემულია, ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს, რადგან ეს არის დანაშაული ხალხის წინაშე.

**— პრეზიდენტმა ისიც თქვა, ასე მგონია, ის ხელკეტი მე მომხვდა, იმ გაზმა მე მადინა ცრემლებიო...**

— რომ მოხვედროდა, დავიჯერებდი, მაგრამ არც მოხვდა და არც ცრემლები უფრქვევია. ვაჟკაცობა და გამბედაობა არ აღმოაჩნდა, 4 წლის განმავლობაში თავის ხალხს დალაპარაკებოდა, თუნდაც 2 ნოემბერს მშვიდობიან მიტინგზე გამოსულიყო და დაგროვილ პრობლემებზე რაღაც ეთქვა. გარწმუნებთ, რადიკალურად განსხვავებული ვითარება გვექნებოდა. ყველაფრის მიუხედავად, 2 ნოემბერს კიდევ იყო განცდა, რომ საკუთარი გუნდის მიერ მოტყუებული პრეზიდენტი ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდა და არ იცოდა, სინამდვილეში რა ხდება... ამბობენ, ისე ხშირად დაფრინავს, რომ ეტყობა ზემოდან ეს პრობლემები კარგად არ ჩანს, მაგრამ 7 ნოემბერს, თუკი ვინმეს ეს ეჭვი კიდევ ჰქონდა, მასაც გაეფანტა, ცხადად ვხედავთ, ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს პრეზიდენტი არაადეკვატურად აფასებს.

**— 7 ნოემბრის შემდეგ, ტელევიზიით სამ არხზე გავიდა ფილმი, თითქოს სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. უჩვენებდნენ კადრებს, გამწარებული ხალხი სპეცრაზმს რომ ქვებს ესვრის... თქვენ როგორც ამ მოვლენების უშუალო მონაწილე, რას ფიქრობთ პარლამენტის შენობის წინ მართლა რუსეთის აგენტები იდგნენ?**

— ეს ხელისუფლების მიერ ძალიან ცუდი და უსუსური თავის მართლებაა, რათა უკანა რიცხვით გაფორმდეს, როგორც სახელმწიფო გადატრიალება, ან მცდელობა. სახელსაც ვერ არქმევენ. ჯერ თქვეს გადატრიალებაო, შემდეგ — მცდელობაო... გადატრიალებას აღარ ამბობენ... მერე თქვეს, არეულობაო, მერე კიდევ — არეულობის მცდელობაო... ცოტა ხანში ეს მცდელობაც მოიხსნება, რადგან იქ ადამიანები იდგნენ სამართლიანი მოთხოვნებით. ეს იყო აბსოლუტური მშვიდობიანი დემონსტრაცია, სადაც ადამიანებს (მათ შორის, მეცძ ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენი გულადი პრეზიდენტი, რომელიც 4 წლის წინათ დადიოდა ავტობუსებით, მეტროთი, თითოეულ მოქალაქეს ეკითხებოდა რა გიჭირთ, რა გაგიკეთოთო, ეს პრეზიდენტი ბოლომდე ასეთად დარჩებოდა. მისი ხიბლი სწორედ ეს დიდი გულწრფელობა იყო ადამიანების მიმართ. სამწუხაროდ, დღეს მას აბსოლუტურად არადამაჯერებელი გამოსვლები აქვს. რასაც ლაპარაკობს, თავადაც არ სჯერა.

თუ ხელისუფლებამ დანამდვილებით, დასაბუთებულად იცოდა, რომ ვიღაც გადატრიალებას ამზადებდა, რომელიღაც ოპოზიციის მიღმა ასეთი რამ მოიაზრებოდა, რატომ თავიდანვე არ აღმოფხვრა საშიშროება და საკუთარი ხალხი, საერთოდ ქვეყანა ამ საშიშროების წინაშე რატომ დააყენა?

იხ. 4 გვ.

**◎ ალიანსი**

## ნატოში საქართველოს არასოდეს მიიღებენო

**რუსეთის დუმის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის იგორ ბარინოვის განცხადებით, ნატო მზადაა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხი განიხილოს, თუმცა რეალურად, თავის რიგებში არასოდეს მიიღებს.**



მისივე თქმით, საქართველოს რეგიონში სტრატეგიული ადგილი უკავია, რაც ნატოს ინტერესს იწვევს.

„ნატო ისეთი გეოპოლიტიკური წყობისკენ მიილტვის, სადაც რუსეთის გავლენა შესუსტებული იქნება, თუმცა ალიანსში კარგად იციან, რა შეიძლება გამოიწვიოს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულმა დაპირისპირებებმა, როცა ყოველთვის მოსალოდნელია შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია. ალიანსს კი ზედმეტი სამხედრო პრობლემები არაფერში ჭირდება, — განაცხადა ბარინოვმა.

**ჰი-ეიჩ-ენი**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

● ფაქტია, რომ ბატონი პომპადური, რომელიც საკმაოდ კონსტრუქციული განწყობით ჩამოვიდა, თბილისიდან დროზე ადრე ყოველგვარი კონკრეტული შედეგის გარეშე წავიდა



**რას ფიქრობს ხალხი**

## ხმის მეტი არაფერი დაგვიტოვა ამ ხელისუფლებამ

**ციცო გოშხეთელიანი, საბავშვო ბაღის მასწავლებელი:** პრეზიდენტი ოპოზიციას აკრიტიკებს, არ მოსწონს ბევრი მათი მოქმედება, მაგრამ თავად ავიწყდება, როგორ მოვიდა ხელისუფლებაში. იქნებ კიდევ აჩვენონ ეთერში ის კადრები, როგორ შეესივნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზს, სადაც სესია მიმდინარეობდა. არ ვაჭარბებ, მოსახლეობის უმეტესობისთვის ეს ნამდვილი შოკი იყო, სპეციალურად ხომ არ გააღეს წლეულს 7 ნოემბერს, პარლამენტის ეზოში შესასვლელი კარი, ხალხი იქ რომ შეჭრილიყო და მერე უფრო მეტად დაერბიათ? არ ვიცი, ღმერთმანი.



**ნიკო ფოლადაშვილი. გორელი ხილით მოვაჭრე:** ჯუმბერ პატიაშვილს ხალხმა ის არ აპატია, მომიტინგეებთან თავად რომ არ მივიდა და არ დაელაპარაკა. მშვიდობიანი მიტინგი რუსის ჯარმა დაარბია, იყო მსხვერპლი, ამის გამო ეს კაცი დღემდე ბოდიშს უხდის თავის ერს, ხომ ვხედავთ, დაიტანჯა კაცი. 7 ნოემბერსაც ხომ დაარბიეს ხალხი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ახლა დამრბევიც და მომიტინგეც, ორივენი ქართველები იყვნენ, მაგრამ არც ბოდიში მოუხდია ვინმეს და არც დასჯილა. რატომ?

**ემზარ გასვიანი, ინჟინერი, უმუშევარი:** კარგია, რომ ოპოზიციამ ერთი საერთო ლიდერის გარეშეც მოახერხა გაერთიანება, ეს ხალხის მოთხოვნა იყო. არჩევნების ციებ-ცხელებამ ხალხს 7 ნოემბრის ამბები დაავიწყა. კარგია, რომ ჩვენი პრეზიდენტი ბოლოს მაინც მიხვდა, რომ მთავარია ხალხის სოციალური ყოფის გაუმჯობესება, მაგრამ ყველა ის საშუალება და ხერხი, რასაც ის დღეს იყენებს საარჩევნოდ, თანამიმდევრულად რომ განეხორციელებინა, არც ამდენი გაჭირვება იქნებოდა და არც ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში. ჩემი აზრით, პრეზიდენტმა ამჟამად ძალზე დაიგვიანა, თუმცა ცხოვრებაში სულ ჩქარობს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ გამარჯვება გაუჭირდება.

**ლუბა ვორონინა, ფილოლოგი, წიგნების გამყიდველი:** რუსი ვარ დედით და მამით, ინსტიტუტიც რუსულად დავამთავრე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩემთვის, ქართულ ენას კარგად დავუფლებოდი. ხომ კარგად ვლაპარაკობ ქართულად?

**— შესანიშნავად, თავად რომ არ გეთქვათ, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ქართველი არ იყავით.**

— ჩემი მშობლები, უკვე 30 წელზე მეტია, აქ ცხოვრობენ, მათაც კარგად იციან ქართული. მეამაყება, რომ საქართველოში დავიბადე, მყავს კარგი მეგობრები, მაგრამ ერთი რამ ძალიან არ მომწონს, შემიძლია, ვთქვა?

**— რა თქმა უნდა.**

— კარგით, მაშინ გეტყვით. მე, აქ მაცხოვრებელი (დავანებოთ თავი, რომ რუსი ვარძ სამუშაოს ვერ ვშოულობ. ახლაც სხვის ნაცვლად ვარ აქ, ვინც მუშაობს, ავად გახდა და მეგობარმა მომიყვანა. მრცხვენია, რომ ამხელა გოგო ვარ და ისევ მშობლების კმაყოფაზე ვიმყოფები. მაინტერესებს, ჩამოსულები, ჩინელები მყავს მხედველობაში, ყველაფერს ასე სწრაფად როგორ აღწევენ? ბიზნესში მშვენივრად ვერკვევი, მაგრამ არ მაქვს თანხა, რაიმეს ხელი რომ მოვკიდო და საქმე ავაწყო. არ შეიძლება მე და ჩემისთანებს დაგვეხმარონ და ფართი მოგვცენ, თუნდაც შეღავათიანი? გარდა ამისა, ჩემს მშობლებს საკმაო დანაზოგი ჰქონდათ მიბარებული ანაბრის სახით სახელმწიფოსთვის, რომლის გასტუმრებასაც არავინ ფიქრობს. იქნებ ანაბრის ნაცვლად ფართი მოგვცენ? მერწმუნეთ, ჩემს დღეში ბევრი ახალგაზრდაა, შევვიწყონ ხელი და ნახონ, ჩვენ რა შეგვიძლია.

**— ახლა ხომ მალე დაიწყება დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამა, იქნებ გეცადათ ბედი?**

— არ მაქვს ასეთი პროგრამის იმედი, ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მაინც ვცდი, იქნებ ამჯერად გამიმართლოს. დიდი მადლობა, რომ შესაძლებლობა მომეცით, ჩემი სათქმელი მეთქვა — მე შენ მიყვარხარ, ქართველო ხალხო.

ჩაიწერა
**ნაზი იმნაიშვილმა**

**პოზიცია**

*ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მოწვევით, თბილისში მედიაჰოლდინგ „ნიუს კორპორეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტი მარტინ პომპადური იმყოფებოდა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ განაცხადა, მთავრობამ „ნიუს კორპორეიშენს“ კონკრეტული წინადადებები შესთავაზა და ამ წინადადებებზე პასუხს ელის. მარტინ პომპადური მთავრობასთან გამართული შეხვედრების შემდეგ „იმედის“ ხელმძღვანელობასა და ჟურნალისტებს შეხვდა, რის შემდეგაც, როგორც „ინტერპრესნიუსს“ „იმედის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების დირექტორმა გიორგი თარგამაძემ განუცხადა, საქართველო დაგეგმილზე ადრე დატოვა. გიორგი თარგამაძემ „ინტერპრესნიუსის“ შეკითხვებს უპასუხა.*

# გიორგი თარგამაძე: ადამიანები, რომლებიც „ნიუს კორპორეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტთან მთავრობის პოზიციების დამტკიცებას ცდილობდნენ, ბოკერია და ლომაია იყვნენ

**— დატოვა თუ არა თბილისი „ნიუს კორპორეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტმა მარტინ პომპადურმა; აქვს თუ არა შედეგი მის მიერ გამართულ შეხვედრებს და რა წინადადებები იყო მთავრობის მხრიდან?**

— მარტინ პომპადურმა თბილისში ვიზიტი დაგეგმილზე ადრე დაასრულა. ის დღესაც თბილისში უნდა ყოფილიყო და ძალიან სერიოზული შეხვედრები ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მან ვიზიტი შეწყვიტა და გუშინ საღამოს თბილისიდან გაემგზავრა.

რაც შეეხება მთავრობის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, იმ ეტაპამდე, სანამ მათი შინაარსი კონფიდენციალურია და პომპადური მათ საჯაროდ არ გაამხელს, მე უფლება არ მაქვს ამის თაობაზე განცხადებები ვაკეთო. თუმცა, თუ ამ პირობებისა და წინადადებისადმი თავად „ნიუს კორპორეიშენის“ ვიცე-პრეზიდენტის დამოკიდებულებით ვიმსჯელებთ, მთავრობის წინადადება ნამდვილად არ არის თუნდაც იმ დონეზე მისაღები, რომ ის კონსტრუქციული დიალოგისა და საუბრის გაგრძელების წინაპირობას ქმნიდეს. ფაქტია, რომ ბატონი პომპადური, რომელიც საკმაოდ კონსტრუქციული განწყობით ჩამოვიდა, თბილისიდან დროზე ადრე ყოველგვარი კონკრეტული შედეგის გარეშე წავიდა.

მან ტელეკომპანია „იმედის“ სასწრაფო წესით შეკრებილ თანამშრომლებს ის პირობები გაგვაცნო, რომლებიც ჩამოყალიბებულია. განსაკუთრებით ამ პირობების ერთი ნაწილი აბსოლუტურად მიუღებელია და იმ ტიპის კომპრომისებია, რომელზე წასვლაც თეორიულადაც არ შეიძლება. ამაზე მეტს ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით.

მიუხედავად იმისა, რომ ლადო გურგენიძემ მოიწვია მარტინ პომპადური ვაშინგტონიდან, იგი ნამდვილად არ იყო წამყვანი ფიგურა არც ამ შეხვედრისა და არც საუბრების დროს.

ძირითადად, ადამიანები, რომლებიც მარტინ პომპადურთან საუბრობდნენ და თავისი პოზიციების დამტკიცებას ცდილობდნენ, ბატონები ბოკერია და ლომაია იყვნენ.

**— შეიძლება ითქვას, რომ ის მოლოდინი, რომელიც „იმედის“ აღდგენასთან იყო დაკავშირებული, ამ ეტაპზე არ გამართლდა?**

— ასე ვერ ვიტყვი. „იმედის“ აღდგენას წინ ვერაფერი დაუდგება. შეუძლებელია, რომ „იმედი“ არ მუშაობდეს. ეს ესმის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ამ გადაწყვეტილებებს განაპირობებს არა მთავრობის კეთილი ნება, არამედ ორი განმსაზღვრელი ფაქტორი. პირველ რიგში, ეს არის საქართველოს საზოგადოების ერთმნიშვნელოვანი მოთხოვნა „იმედის“ სასწრაფო წესით აღდგენის და ამის მაგალითი იყო თუნდაც, გუშინწინ თბილისში გამართული უზარმაზარი სოლიდარობის აქცია, რომელიც ტელეკომპანია „იმედის“ აღდგენის და მისი თანამშრომლების მხარდასაჭერად გაიმართა.

მეორე — ეს არის უზარმაზარი საერთაშორისო ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე. ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს და თავად უცხოეთის სახელმწიფოების, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩების, ვაშინგტონის წარმომადგენლების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მთავარ წინაპირობას საგანგებო მდგომარეობის მოხსნასთან ერთად, იყო და რჩება მხოლოდ და მხოლოდ ტელეკომპანია „იმედის“ ამუშავება. ეს პირობა შესრულებული არ არის. „იმედის“ გარეშე დარჩენილი საქართველოს ყოველი ახალი დღის შემდეგ, ეს ზეწოლა კიდევ უფრო გაიზრდება.

მე პირადად ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ „იმედი“ მაუწყებლობას დაიწყებს და ძალიან მალე.

**— იყო ასეთი ინფორმაცია, რომ პირველ ეტაპზე „იმედი“ ეთერში საინფორმაციო გადაცემების გარეშე გავა. თქვენ რამდენად უშვებთ ასეთ შესაძლებლობას?**

— ჩვენი ინფორმაციით, „იმედის“ ტექნიკური მდგომარეობა, ვანდალურად დარბევის შემდეგ, საკმაოდ მძიმეა. ცხადია, ტექნიკურად ძალიან რთული იქნება მისი ნაწილობრივ რეაბილიტაცია. თუმცა, ის, რაზეც პირველ რიგში იზრუნებს ტელევიზიის ხელმძღვანელობა და მისი ყველა თანამშრომელი, ეს იქნება საინფორმაციო მაუწყებლობის აღდგენა. დღევანდელ სიტუაციაში, ყველაზე დიდი რამ, რაც ქვეყანას სჭირდება, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულ კალაპოტში მოსაქცევად, ეს არის ხელისუფლებისაგან არაკონტროლირებადი ტელევიზიის არსებობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სრულიად დაბალანსებული, ობიექტური და ხელისუფლების ფილტრგაუვლელი ინფორმაციის მიღებას, მოპოვებას და გავრცელებას ტელევიზიის მეშვეობით. ასეთი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი ვერ არის „იმედი“.

**— ევროპის სასამართლოში სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით, რა პროცედურები იქნება საჭირო და როდის დაიწყება ეს პროცესი?**

— დიდი სამუშაოებია ჩატარებული, უსერიოზულესი, მათ შორის ქართველი ადვოკატების — შალვა შავგულიძის და სოსო ბარათაშვილის მონაწილეობით. ამის პარალელურად, თბილისში უკვე მერამდენე დღეა უცხოელი ადვოკატების ჯგუფი იმყოფება. უკან უნდა დაბრუნდეს ბრიტანელი ადვოკატი, ბატონი გოლდსმითი. ნაწილი სარჩელებისა უკვე შესულია, ნაწილი შედის. რაც შეეხება უშუალოდ ტელევიზიასთან დაკავშირებულ საკითხს, ჩემი მონაცემებით, ადვოკატები გარკვეულ პროცესუალურ ნაბიჯს ელოდებიან, რომლის შემდეგაც, თუ არ ვცდები, ორსამ დღეში, სარჩელი უკვე პირდაპირ ევროპის სასამართლოში წავა.

ის ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ საქმეს, საუბრობენ იმაზე, რომ თითქმის არ არსებობს არანაირი წინაპირობა იმისა, რომ ევროსასამართლოში სარჩელები ძალიან დაჩქარებული წესით არ დაკმაყოფილდეს.

მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო სამართლებრივ ასპარეზზე ძალიან სერიოზული პრობლემები ელის.

**— შესაბამისად, თუ იქნება მიღებული გადაწყვეტილება „იმედის“ მაუწყებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, ეს სავალდებულო იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის?**

— ვფიქრობ, თქვენი კითხვა თავისთავად არის რიტორიკული. თუ ევროპის სასამართლო ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ავტომატურ რეჟიმში უნდა აღსრულდეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლება, სამწუხაროდ, სრული იზოლაციონიზმისა და ტოტალიტარული სისტემის მშენებლობის გზას დაადგა, ჩვენ შეიძლება კიდევ ვნახოთ ახალი მაგალითები იმისა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებისა და მისი პირველი პირებისთვის სრულიად აღარ იქნება ანგარიშგასაწევი, როგორც საერთაშორისო სტრუქტურების, ისე ევროსასამართლოს გადაწყვეტილება.

თუმცა, მიმაჩნია, რომ იმ პირობებში, როცა სააკაშვილი უკვე ექს-პრეზიდენტია, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებს, გაცილებით მეტი გარანტია არსებობს იმისა, რომ საქართველოში ელემენტარული სამართლებრივი ნორმები და, მათ შორის, საერთაშორისო სამართლებრივ სისტემებთან ურთიერთობა უფრო ადეკვატური იქნება, ვიდრე ეს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში წარმოგვედგინა.

**ანდრო ჯუფალაკიანი**
„ინტერპრესნიუსი“


№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# აღმდგარი ქვეყანა

● ხელისუფლება ხშირად თავს იმართლებს, ყველა კმაყოფილი ვერ იქნებაო, ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ნურც ასე გადამეტებით კარგად ნუ ვიქნებით, ჩემო ხელისუფალნო, რომ ერთი ნაგავში იქექებოდეს, ხოლო თქვენ აღარ იცოდეთ, რა ჭამოთ, რა სვათ, რა ჩაიცვათ...

◎ გულწრფელი საუბარი

# ნინელი ჭანკვეტაძე:

# „ხელისუფლებამ ადამიანები ქვეყნის მტრებად და მოკეთეებად დაყო“

(მეორე გვერდიდან)

**— ამბობენ, რომ 7 ნოემბერს იდეოლოგიური საფუძველი ხელოვნების, სპორტისა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლების წერილმა მოუმზადა, ამ ადამიანებს პრეზიდენტი შეხვდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა მოხდა იმ შეხვედრაზე, რაზე იმსჯელეს და რას ფიქრობდა ამ მოვლენების თაობაზე პრეზიდენტი... თქვენ რა განცდა დაგებადათ?**

— იქ რა მოხდა, გულწრფელად გეტყვით, მეც ვერავისგან გავიგე. ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს — ყველასათვის საყვარელ მომღერალს პირდაპირ ეთერითაც ვკითხე, შეხვედრიდან რა კითხვები გამოიტანეთ-მეთქი, სამწუხაროდ, ვერ მიპასუხა. მეც თქვენსავით მოვისმინე იქიდან გამოსული ჩემთვის საპატივცემულო ადამიანის დარბევამდე რამდენიმე დღით ადრე ნათქვამი, ყველაფერი კარგად იქნებაო. სწორედ ამაზე მქონდა პრეტენზია, თუ ისინი ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაშინ რატომ გალახეს, განდევნეს ხალხი და ეს დევნა დღემდე არ შეჩერებულა? ვიღაცეების მიმართ საქმეც აღიძრა, თუმცა, არავის მოსდის აზრად, რომ იგივე გაკეთდეს პოლიციელთა მიმართაც, რომელთაც უმოწყალოდ სცემეს ძირს დაგდებული ადამიანები.

პრეზიდენტთან საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის შეხვედრის შემდეგ, ვიფიქრე, ალბათ, მათ ამ შეხვედრიდან რაღაც ისეთი გამოიტანეს, რამაც საფუძველი მისცა მათ ეთქვათ, დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნებაო. მაგრამ 7 ნოემბერს, საპირისპირო რამ ვნახე. არ გამოვრიცხავ, ისინიც მოტყუვდნენ, როგორც ჩვენ არაერთხელ მოვუტყუვებივართ ჩვენს პრეზიდენტს.

**— ხომ არ გგონიათ, რომ იმ მემორანდუმით ხელისუფლებამ ადამიანები განაცალკევა და ერთმანეთს დაუპირისპირა?**

— ამის თაობაზე კულტურის მინისტრს ვესაუბრე. ვუთხარი, რომ ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, როცა ხელისუფლებამ სცადა ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირება, ანუ ოპერაში შეკრიბა ადამიანები, მხოლოდ ისინი, ვინც თავად სურდა, ხოლო მეორე ნაწილს იქ მისვლის უფლება არ ჰქონდა, რადგან მიტინგზე მშვიდობიანად მივიდა და აზრი გამოხატა, ანუ ხელისუფლებამ თავიდანვე დაყო ადამიანები ქვეყნის მტრებად და მოკეთეებად, რისი უფლებაც მას, რასაკვირველია, არ ჰქონდა. ამაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ორგანიზატორებს. მე მათ ვადანაშაულებ, რადგან არავის აქვს უფლება კოლეგა დამიპირისპიროს იმ მოტივით, რომ თუ მე სადღაც აზრი გამოვხატე, ამიტომ მისი მტერი ვარ, ან თუ იმან განსხვავებული რამ თქვა ჩემთვის, ქვეყნისთვის, მტერია, ან პირიქით — მოკეთე. ეს ხელისუფლების მხრიდან ძალიან ცუდი და უმართებულო ტენდენციაა.

ბუნებრივია, არ გამოვრიცხავ თავად იმ ჩემი კოლეგების პასუხისმგებლობასაც, რატომ არ იკითხეს, სად იყვნენ მათ სფეროში მოღვაწე სხვა ადამიანები?.. ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, ერთი ქვეყანა გვაქვს და თუ განგაშია ასატეხი, ერთად უნდა გადავწყვიტოთ პრობლემები... ვიღაც ზალიკო სამადაშვილი არ უნდა გვიწერდეს ჩვენს დასაწერ ტექსტებს. თუ მას სურს საკუთარი აზრის გამოთქმა, პირადად, ცალკე გამოხატოს, და არა ისე, რომ რაღაც „ბალვანკა“ შემოგვთავაზოს და მერე ყველამ, ისევე, „ბალვანკურად“ ხელი მოაწეროს.

სხვათა შორის უმრავლესობამ არც იცოდა, რაზე, რა მემორანდუმზე აწერინებდნენ ხელს. ისიც ვიცი, მათ პირდაპირ ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, შენს მაგივრად მოვაწერთ ხელსო. ის ხალხიც გაბრიყვებული აღმოჩნდა.

დღესაც იგივე გრძელდება. შეხვედრებზე ალბათ ხედავთ, ვისაც უხმობენ. განსხვავებული აზრის მქონე არც ერთ ადამიანს არ იკარებენ. და ამაში ბრალი მიუძღვით კონკრეტულად იმათ, ვინც ამის ორგანიზატორია, ვინც ცდილობს, პრეზიდენტს მხოლოდ ის ადამიანები შეხვდნენ, რომლებიც კმაყოფილნი არიან და ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავენ, ან პრეზიდენტისგან თუ ხელისუფლებისგან რაღაცით დავალებული არიან.

**— რამდენად დემოკრატიულად ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ტელეკომპანია „იმედი“ დახურულია და კანდიდატებს არათანაბარი პირობები აქვთ. ხომ არ მოემსახურება ეს არჩევნები სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას?**

— არა მხოლოდ მასმედიის შეჩერების გამო შეიძლება დაბრკოლდეს არჩევნები, არამედ საკანონმდებლო სფეროშიც მრავალი დარღვევაა. თუ საარჩევნო სისტემა ისე არ მოეწყო, რომ ამომრჩეველი დაზღვეული იყოს, ვისაც ხმას მისცემს, სწორედ ის მიიღებს ამ ხმას, არ გამოვა არაფერი.

ხომ ხედავთ, დრო როგორ იჭიმება? ჩვენი პრეზიდენტი კი უკვე მესამედ, მეოთხედ გამოდის და ყველგან აცხადებს, რომ მეორე ვადაში ხან აუცილებლად გაიმარჯვებს, ანუ პირდაპირ გვიცხადებს, თქვენ რაც გინდათ გააკეთეთ, მე მაინც მოვალ და მეორე ვადითაც ვიქნები პრეზიდენტიო. როცა ასეთი იმედი აქვს, ეს უკვე ამომრჩევლის უფლებების დარღვევაა. საიდან აქვს ასეთი გარანტია? იქიდან, რომ აბსოლუტურად დარწმუნებულია, ისე გაკეთდება ყველაფერი, საჭირო ხმებს აუცილებლად მიიღებს.

ვფიქრობ, ეს ქვეყანას კარგს არ მოუტანს, რადგან ძალიან კარგად ვიცით, სინამდვილეში საქართველოში რა ხდება. რასაკვირველია, იმას არ უარვყოფ, რომ პრეზიდენტს მომხრეები დარჩა, მისი მომხრეები იქნება, ალბათ, ჯარი, პოლიცია, ვისაც არავინ კითხავს, ვის მისცემს ხმას. მათ შორის პატიმრების კონტინგენტი იგულისხმება, რომელთა ხმებიც ნამდვილად გაყალბდება. თუმცა, მათი უფლებები არავის აინტერესებს, როგორ არიან, რა უჭირთ. მასთან იქნება მთელი ბიუროკრატიული აპარატი, მათი ოჯახები. იქნებიან ის გულუბრყვილო ადამიანები, ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი პრეზიდენტის გარეშე საქართველო მოკვდება და არ იარსებებს. ალბათ, იქნებიან ისინიც, ვინც ჩვენი ოპოზიციისგან კარგს არაფერს მოელის და ხედავენ, რომ ისინიც იმ სახელისუფლებო გუნდის გაგრძელებაა. რასაკვირველია, ამაში სიმართლე არის.

ის, რომ დღეს შედგა გაერთიანებული ოპოზიცია, ჩემთვის ძალიან დიდი იმედია. ოპოზიციამ ერთიანი კანდიდატი წარმოადგინა, რაც დიდი მიღწევაა. ამ კანდიდატს განსაკუთრებული ხიბლი აქვს ჩემთვის. მან პირდაპირ განგვიცხადა, ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დამთავრდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც ჩანს, არ შეიძლება ვინმეს ამხელა უფლებები მივცეთ, რაც სამომავლოდ ცუდად გვიბრუნდება. სულაც არ მინდა, 2 თუ 4 წლის შემდეგ ისევ ქუჩაში ვიდგე იგივე მოთხოვნებით...

**— რას ეტყოდით იმ ადამიანებს, რომლებიც გაიძახიან, ბინა რომ წაართვეს, იმიტომ არის ნინელი ჭანკვეტაძე ოპოზიციაშიო...**

— ისეთი პროფესია მაქვს, რომ ჩემს სათქმელს ყოველთვის ვამბობ, მაშინაც კი, როცა ბევრი ხმას ვერ იღებდა, სცენიდან ძალიან გაბედულ სიტყვას ვამბობდი. არაერთხელ გამიგონია ჩვეულებრივი მაყურებლისგან, არ გეშინიაო. არც მაშინ მეშინოდა, არც დღეს მეშინია და არც ხვალ შემეშინდება. თუ ამის გამო ვისჯები, მართმევენ ბინას, ან რაღაცას ვკარგავ, ეს მხოლოდ ოჯახს, შვილს აკლდება. მაგრამ მიღირს, მირჩევნია, ჩემს შვილს არ წამოაძახონ, შენი დედა ბინის ან ხელფასის გამო გაიყიდა და თვალი დახუჭა უსამართლობაზეო, ვიდრე ამით რაღაც მოვიპოვო. არც არასდროს მომიპოვებია რამე.

თუმცა, ვინც ცდილობს ჩემს სახელს მხოლოდ ბინა დაუკავშიროს, ის ადამიანები არიან, ვინც დღეს ქვეყანაში არსებულ უსამართლობაზე ხმას არ იღებენ და თავის გასამართლებლად ეს უსუსური არგუმენტი სჭირდებათ, რომ სხვა თურმე იმიტომ გამოდის უსამართლობის წინააღმდეგ, რომ მას ბინა წაართვეს, ან ვიღაცა დაჩაგრეს.

ბინა წართმეული არ მქონდა, როცა ბატონი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ტელეკამერებთან ვთქვი, რომ სერიოზული კითხვა მებადება, არ მჯერა პრემიერის გაზით გაგუდვა-მეთქი. ეს მაშინ, როცა ბევრი ამ ადამიანის პანაშვიდზე მოდიოდა და ტელეკამერებს თავს არიდებდა, არ იცოდა, რა ეთქვა ახლად მოსული ხელისუფლების გამო.

საკუთარი პოზიცია მაშინვე გამოვხატე და ხელისუფლებისგან დამაჯერებელ პასუხს ველოდები. იმ დღიდან დავიწყე კითხვების დასმა და არც ერთ საკითხზე პასუხი არ მიმიღია, არც გირგვლიანის, არც რობაქიძის თემაზე.

ხელისუფლება ხშირად თავს იმართლებს, ყველა კმაყოფილი ვერ იქნებაო, ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ნურც ასე გადამეტებით კარგად ნუ ვიქნებით, ჩემო ხელისუფალნო, რომ ერთი ნაგავში იქექებოდეს, ხოლო თქვენ აღარ იცოდეთ, რა ჭამოთ, რა სვათ, რა ჩაიცვათ...

თუ გვიჭირს, მოდით ყველამ ერთად გავიჭირვოთ. თუ ქვეყანას სჭირდება, კი ბატონო, ყველამ მოვიჭიროთ ქამარი, ოღონდ ვიცოდეთ, რომ ხელისუფლებაც ჩვენს გვერდზეა და ჩვენსავით წვალობს და ღელავს... შვილებს კი არ ხიზნავს საზღვარგარეთ განათლების მისაღებად და თავად საზღვარგარეთ კი არ ატარებს დროს, ზემოდან, თვითმფრინავიდან კი არ დაჰყურებს თავის ხალხს, არამედ მის გვერდითაა. ხელისუფალნო, მოდით ამაზე დავფიქრდეთ და ასე ნუ მოვიქცევით.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



◎ ინფორმაცია

## ჩაბანს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელეს

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალებს სერგეი ჩაბანი ახალი მეთაურის დამტკიცებამდე უხელმძღვანელებს.**



როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსს“ დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს მდივანმა ალექსანდრ სინაისკიმ განუცხადა, ახალი მეთაურის კანდიდატურა ასტანაში გამართულ დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილება.

30 ოქტომბერს, განმუხურში მომხდარი შეიარაღებული ინციდენტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ჩაბანის პერსონა ნონ-გრატად გამოცხადება და გაწვევა მოითხოვა.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აფხაზეთში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალ სერგეი ჩაბანისთვის უფლებამოსილების გაგრძელებას საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულების კიდევ ერთ გამოვლინებად და რუსული მხარის შეცდომად აფასებს.

— რუსული მხარე ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინოს. ამგვარი საკითხები ასე არ უნდა გადაწყდეს, რადგან ქართულმა მხარემ ჩაბანის გაწვევის საკითხი უკვე დააყენა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის სერიოზული შეცდომაა, — განაცხადა გაბაშვილმა.

მისივე თქმით, რუსული მხარის ამ შეცდომას თბილისი გაეროსა და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში აქტიურად გამოიყენებს, რათა კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას მიაღწიოს.

ინტერპრესნიუსი

## ქიშმარიას გალელთა იმედი აქვს

**აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის ე. წ. რწმუნებული გალის რეგიონში რუსლან ქიშმარია დარწმუნებულია, რომ გალის რეგიონის მოსახლეობა საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს დაგეგმილი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ყურადღებას არ გამოიჩენს.**

მისივე მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება გალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართ შანტაჟის, მუქარისა და საინფორმაციო ზეწოლას ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ გალის რეგიონის მოსახლეობამ მიმდინარე წელს აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებულ ე. წ. საპარლამენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და მათში მონაწილეობა არ მიიღო. შედეგად არჩევნები გალის რეგიონში ფაქტობრივად ჩაიშალა.

ჯი-ეიჩ-ენი

● საპატრიარქოდან დაურეკავთ და გადმოუციათ უწმინდესისა და უნეტარესის ნათქვამი: ეს დანიშვნა ღვთის მადლის ცხებააო. უკეთეს დალოცვას რომ ვერც ინატრებს კაცი (ქალი!ძ



◎ აჭრიალდა კარუსელი...

# „განმეცხამს“ ახალი შეფი ჰყავს

## შტრიხები პორტრეტისათვის

**სამთავრობო კარუსელი მორიგ ჯერზე აჭრიალდა, პრემიერ-მინისტრი და ორი მინისტრი „გადმოსვა“ და ახლები „დაისვა“. გამოჩნდა მინისტრი ქალბატონი, რომელიც სახელგვარად მაია მიმინოშვილია და განათლებისა და მეცნიერების სფეროს ჩაუდგა სათავეში (უკვე პარლამენტის ვიზირებითაცძ.**

ქალბატონ მაიასათვის, განსხვავებით წინამორბედისგან, მეცნიერული გარემო სულაც არ არის უცხო ხილი: ჯერ ერთი, ცნობილი მეცნიერი მშობლების ასული გახლავთ — დედა, ლია მახარაძე, მეცნიერული ხარისხის მქონე ალგებრაისტი მკვლევარია, სპეციალისტად ერთ სახელგანთქმულ მოსკოვურ სკოლაში შემდგარი და საერთოდ, მრავალმხრივ ნიჭიერი და ერუდირებული ქალბატონი, მამა, პროფესორი რომან მიმინოშვილი, ცხოვრებიდან ნაადრევად წასული, აგრეთვე მრავალმხრივი პიროვნება იყო — გამოჩენილი ელინისტი, ბერძენ კლასიკოსთა ჩინებული მთარგმნელი, პოეტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; მეორეც, მაიამ წარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი მათემატიკის ისეთ ურთულეს აბსტრაქტულ დარგში, როგორიც არის ტოპოლოგია და ერთხანს პედაგოგიურ-სამეცნიერო ასპარეზზე ილვწოდა; ეს მერე მოხდა, რომ ნაზი ქალური ხელებით მარჯვედ მოჰკიდა ხელი მისაღები საგამოცდო სისტემისა თუ მექანიზმების გარდაქმნა-რეფორმირების დიდ საქმეს (როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმაძ და რთულ სიტუაციებში პრინციპულობის არაერთგზის გამოჩენით (რამდენადაც ვიციძ ეფექტიანადაც გამოუვიდა.

ვფიქრობ, რომ ახლა, მინისტრობის დასაწყისში, მაია პრინციპული დილემის წინაშე დადგა: გააგრძელოს უკვე შემუშავებულ-დაყენებული მაგისტრალური რეფორმული და ზემოდან ნაქები „სამინისტროული“ ხაზი (ჩემი აზრით, ხშირად უსწოროძ, თუ შეეცადოს საჭირო ძირეული (ისევ ჩემი ფიქრითძ კორექტივების შეტანას, საკუთარი ხედვის დემონსტრირებასა და რეალიზებას. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს და იგრძნობს ზემოდან დამოუკიდებლობასა და კვლავ პრინციპულობის დაცვას ეროვნული ცენტრიდან „წამოღებულისა“...

ასეა თუ ისე, თავს ნებას მივცემ (რატომ მივცემ, ამას ქვემოთ გაგიმხელთძ, რამდენიმე სურვილის, გნებავთ, რჩევის გამოთქმისა, თუმცა, რასაკვირველია, ჩემგან ჭკუისსასწავლებელი ახალ მინისტრს არცრა სჭირს.

კარგი იქნება, თუ იმ მნიშვნელოვან პროცესს, რომელსაც ასე მოერია და უკვე დარეგულებული სახე მისცა, სახელწოდებასაც „დაურეგულებს“ და უაზრო ან, როგორც ახლა მოდურია, ნონსენსური „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ მაგიერ მონათვლინებს, მაგალითად, ასე: „ერთიანი მისაღები გამოცდები“, დიახ, ასე უბრალოდ; ხოლო თუ რატომაა ნონსენსური „ეროვნული გამოცდები („ერთიანი“ სწორია და სავსებით გასაგებ-დასაშვებიძ, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე არაერთხელ დასაბუთებულა სხვადასხვა ავტორისგან და ამას აღარ გამოვუდგები. სხვა ამბავია, თუ „მე ქართულ პრესას არ ვკითხულობ“ და წურც თქვენ, მინისტრები წაიკითხავთო...

კარგი იქნება, თუ საქალალდეში გადაუძახებს დირექტორთა შერჩევა-დანიშვნის ყოვლად უხეირო და გაუმართლებელ „ლოტოტრონიზებას“, თორემ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან უკვე გავახმიანეთ „კახატრონი“ და არც „მაკატრონის“ შემოთავაზებას დავაყოვნებთ...

კარგი იქნება, თუ მეტყველების კულტურის ელემენტების მაინც (თუ კურსისა არაძ საყოველთაო ჩანერგვას შეუდგება სასკოლო პროგრამებში, თვით დაწყებითი კლასების ჩათვლით. ახლა ჩვენი მშობლიური ენა მძიმე დღეშია (ძვირფასი ტელევიზიის წყალობითაც...ძ. შვილების ინგლისურად აჭიკჭიკებას რომ ასე ბეჯითად შევდგომივართ, საბრალო (ჩვენს ხელში საბრალოძ და საყვარელმა ქართულმა რა დააშავა! არც რუსული ენის ასე სახელისუფლებო დონეზე იგნორირება და მივიწყებაა მოსაწონი. სხვა საქმეა ბავშვობიდანვე რუსიზმებისაგან (სტოლი, კრაოტი, პადვალი, ფეჩი, ვანა და მრავალი სხვაძ ჩვენი სალაპარაკო ენის გაწმენდა; ეგებ სკოლაში ვეცადოთ ამას და რაც ჩემმა და ბევრმა სხვა თაობამ ვერ შეძლო და სწორედ ჩვენი სასაუბრო ენის უბედურებად ქცეულა (ბიჭებისგან უბედურებისა არ იყოს — „ჩემი დედა“ და „ჩემ დედასო“ძ, სერიოზული მიდგომის საკითხად ვაქციოთ.

ზემოთ ერთი შეუფერებელი სახელწოდება ვახსენეთ და ეგებ „საჯარო სკოლასა“ და „რესურსცენტრზეც“ დავილაპარაკოთ. უცნაურია, „ეროვნული“, სადაც საჭირო და არსებითი იყო (მაგალითად, პირადობის საბუთშიძ, იქ ამოვფხიკეთ და უადგილო ადგილას დავსვით — გამოცდებთან; აქაც საჯაროობა ბიბლიოთეკას ჩამოვართვით და სკოლას მივაწებეთ. „საშუალო“ რა, იკბინებოდა? ორი ქართული სიტყვისგან შემდგარი „განათლების განყოფილება“ გაუგებარი იყო? ორი უცხოურით შეკოწიწებული „რესურსცენტრი“ უფრო გამჭვირვალეა? დასავლეთი რა, ყველაფერს სწორად გვთავაზობს და გვასწავლის?

ნუ მეტყვის ან ნუ იფიქრებს ქალბატონი მინისტრი, რომ სახელები თუ სახელწოდებები წვრილმანია. ვაითუ ძველი ხელმძღვანელობის წინდაუხედაობაა, ან „შორსგაუხედაობა“...

ჩემი წერილის ქვესათაურად ავიღე „შტრიხები პორტრეტისათვის“. მაია საქართველოში ახლა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ბებიაა (არადა, თუნდაც ეკრანზე რომ შეხედავ, ვერც იფიქრებ, რომ უკვე ბებია შეიძლება იყოსძ: 49 წლის ქალბატონს 4 წლის ცქრიალა მარი (შინაურობაში მარიშკაძ დაურბის შორეულ შოტლანდიაში: უფროსი ვაჟის, გლაზგოს ხელოვნების აკადემიაში პიანისტის როლში სოლიდური სტატუსით დამკვიდრებული სანდროს გოგონა. უმცროსი ვაჟი ლაშა ინფორმატიკას ეუფლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სტუ-ში, თუმცა თვითონ, შემორჩენილი მრავალწლიანი „ინერციით“, გე-პე-იშიო, ამბობსძ, შესაბამისი ფაკულტეტის მესამე კურსზე. არადა, „გუშინ“ სულ პატარა ბიჭი მახსოვს, ფეხბურთით „თავიანფეხებიანა“ გატაცებული...

მაია თავისუფლად ფლობს კომპიუტერსა და ინგლისურ ენას (ტელეეკრანზეც გვინახავს კომპიუტერს მიმჯდარიძ — ჩვენი დღევანდელი რეალობის აუცილებელ და ასე „მოთხოვნად“ ატრიბუტებს. გონიერი (ეს ისევ ეკრანზე მოკლე გამოსვლებითაც ჩანსძ, წიგნიერად მოლაპარაკე, სერიოზული ქალბატონია, იშვიათად მომღიმარი (სამინისტროს ზოგიერთი დიდმოხელისგან განსხვავებით, არ სჭირდება ღიმილის შირმაძ...

ყველაფერთან ერთად ჩემთვის ისიც საგულისყუროა, თუ როგორ შეეწყობა სამუშაო-სამსახურებრივ პლანში პარლამენტის ერთი, ოთხდანაყოფიანი სახელწოდების მქონე კომიტეტის იდიოზურ თავმჯდომარეს.

მე, ლიასა და რომანის ძველმა და ახლო ამხანაგმა, ოჯახის „სტაჟიანმა“ ნაცნობმა მივეცი თავს მინისტრად მაია მიმინოშვილის დანიშვნასთან შეხმიანების უფლება. დედამისს რომ დავურეკე და მივულოცე — არის კი მოსალოციო, გულახდილად აღმოხდა. ეს უთუოდ იყო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე და მძიმე ტვირთის ქვეშ დამდგარი ქალიშვილის ბედით შეფიქრიანებული მშობლის პასუხი. არადა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა მაიას სწორედ დედ-მამისაგან დაჰყვა. არადა, გამინისტრება თურმე სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მარტო ლიასთვის კი არა, მაიასთვისაც...

საპატრიარქოდან დაურეკავთ და გადმოუციათ უწმინდესისა და უნეტარესის ნათქვამი: ეს დანიშვნა ღვთის მადლის ცხებააო. უკეთეს დალოცვას რომ ვერც ინატრებს კაცი (ქალი!ძ. ალბათ შეხვედრა კიდევაც მაია კათალიკოსსა და როგორც დალოცვილი წამოვა, ასევე ევლოს ახალ რთულ და არცთუ იავარდებით მოფენილ გზაზე....

**თამაზ ეზანოიძე**

◎ ხმა ამოხდა...

# როგორი ფასები იყო 7 ნოემბრის „ბაზრობაზე“?

***ხმები იმის ხმებია, რომ უნდა დაცოცავდეს, დადიოდეს, აგორდებოდეს, გაჟონავდეს და გამოჟონავდეს. ჰოდა აგერ, ჯიუტად აგორდა ხმა, თუ როგორ, რა პრეისკურანტით აუნაზღაურა ხელისუფლებამ ჩვენს ყოჩაღ ძალოვნებს (ყაჩაღებში არ აგვერიოსძ საშვიდნოემბრო „გარჯა“, სადამსჯელო ოპერაციები: ამდენი და ამდენი რეზინისჯოხიანებსა თუ ხელკეტიანებს, ამდენი ტყვიის მსროლელთ, წყალმტყორცნელთ, გაზგამშვებთ, ნიღბოსნებს, სპეცრაზმელებს, მოპატრულე პოლიციელებს. თითოეულისაგან — მარჯვე უნარის მიხედვით, თითოეულს — დამსახურების მიხედვით. „მათ საქართველოს სახელმწიფოს გამგებელთათვის გაუწევიათ სამსახური — თვითონც იციან“ (შექსპირულადძ...***

ცნობილია: დრო რომ გავა, გარკვეული ვადის, ეგებ ბევრი წლის მერეც, ყოველგვარი საიდუმლო „განსაიდუმლოვდება“ ხოლმე. ახლა, მაგალითად, დაახლოებით ვიცით, თუ რა დაჯდა 2003 წლის დიდი ნოემბრის ნაციონალური რევოლუცია, ვიცით თვით დამფინანსებელთა აღიარებითაც. გარდა ამისა, აქ კარგად მუშაობს ისევ შექსპირის სენტეცია: „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“ (ზეპირად „ვციტირებ“ — ერთ-ერთი მოდური ზმნა — და ეგებ შემეშალა კიდევაცძ.

ასე რომ, რაღაც დრო როცა გავა, ეგების აღიარებები, „მემუარები“ წავიკითხოთ ან მოვისმინოთ — 2007 წლის 7 ნოემბრის ამბებში ამან და ამან ესა და ეს დამავალა და ამდენი და ამდენი გადამიხადაო... ვინ იცის!







ჯერჯერობით კი ჩვენი ხელისუფალნი ისეთი სახით დადიან, გამოდიან, ხალხს ხვდებიან, ისეთ იერს იღებენ, თითქოს 7 ნოემბრის დღე არც გათენებულ-დაღამებულიყოს, არც ყოფილიყოს, თითქოს იმ დღეს „ბალი არ გაძვირებულიყოს“, მხოლოდ ახალი ფაბრიკის გახსნაზე გადაეჭრათ ლენტი ან ახალი ავტობანის მშენებლობა მოენახულებინოთ, გინდა საპრეზიდენტო სასახლის დაჩქარებული მშენებლობა...

ხმები კი ჯიუტად დაცოცავს და ვაჟკაცობას გაფიცებთ, გააბათილეთ, თუ ბიჭები ხართ...

**ლუკა გორგაძე**

◎ ინფორმაცია

## ზეწოლა სტამბებზე

**ფრაქცია „ჩვენი საქართველოს“ თავმჯდომარის ვალერი გელბახიანის ინფორმაციით, თბილისის სტამბებში პრეზიდენტობის კანდიდატის ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერთა სიების ბლანკების დაბეჭდვა ვერ ხერხდება.**

**— გუშინ თბილისში მდებარე სტამბებმა ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერების სიების ბლანკების დაბეჭდვაზე უარი განაცხადეს. იყო მითითება, რომ პატარკაციშვილის გარდა, ნებისმიერი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების ბლანკები დაბეჭდონ, — განაცხადა გელბახიანმა.**

**ამასთან, იგი ხელისუფლებას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე ფიზიკურ ანგარიშსწორებაშიც ადანაშაულებს. გელბახიანი თანაფრაქციელ მერაბ ხურციძეზე გუშინდელ თავდასხმას ვანდალურ აქტად აფასებს.**

**როგორც გელბახიანი აღნიშნავს, მერაბ ხურციძემ თვენახევრის წინათ საპარლამენტო უმრავლესობა დატოვა და მის მიმართ მუქარა საკმაოდ ხშირი იყო.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

● იმ ავბედით 9 მარტსაც, 9 აპრილსაც ხალხს მხარში ედგა მილიცია. ნოემბრის ვარდების თანაშემოქმედიცაა პოლიცია. აი, ვანოს მიერ ნაჩეკმა პოლიცია-ბარტყებმა კი უტირეს საკუთარ ხალხს დედა...




## ◉ გულის ბუხარი

*იმ დაწყევლილი 7 ნოემბრიდან რაც დრო გადის, უფრო და უფრო ეჭვი მიპყრობს და ვერაფრით ამიხსნია, რა მოხდა, რისთვის გვწამლავდნენ, რატომ გვირტყეს, გაგვიმეტეს...*

*ადრეც განვაცხადე, რომ იმ ავბედითი 1956-ის მარტის დღეებში, როგორც ისევე 9 აპრილის მიტინგზე გამოსულ ჩვენს თანამემამულეებს ქვეყნის გადატრიალება აზრადაც არ მოსვლიათ. აბა იმ ურჩხულს, საბჭოთა კავშირი რომ ერქვა, ერის რაღაც ნაწილი კი არა, მთელი საქართველო რომ იარაღასხმული აღდგომოდა, რას დამართებდა.*

*ამდენად, არც არავინ იყო ისეთი ბრიყვი, რომ ასეთ რამეზე ეფიქრა, თვით მათგან დაქირავებულ პროვოკატორებშიც კი, რომლებიც ყოველთვის მრავლად არიან.*

# რისთვის გვწამლავდნენ, და გაგვიმეტეს?

საერთოდ, მე ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდები. 2 ნოემბერს და მომდევნო დღეებშიც ხშირად ვმოძრაობდი. ალბათ ჟურნალისტური ჩვევაცაა. ვაყურადებდი ყველას, მათ სიტყვებსაც ვიჭერდი შიგადაშიგ, ყველა იქ მყოფსაც ვათვალიერებდი. ერთი კი მენიშნა. იმ ასორმოცდაათ ათასში თუ ბევრად მეტში, ისევდაისევ ისინი ჭარბობდნენ, რომლებმაც ვარდებით მოიყვანა ეს ხელისუფლება. თავიდან სრულიად უწყინარი, მხოლოდ შინაგანად შეძრული, განაწამები ხალხის, ანუ მომიტინგეთა აგრესია შემდგომ გამოვლინდა, როდესაც ხელისუფლებამ ეს გაწბილებული, ღამენათევი ხალხი ჩირადაც არ ჩააგდო. არადა, ცინიკური განცხადებები, რისი უნაკლო ნიჭით მართლაც გამოირჩევიან უმრავლესობის ლიდერები, ისე გაისმოდა სამთავრობო ეშელონებიდან, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეთ, ჭიანჭველასაც არ გაეჭაჭანოს მათ ახლოს.

ის აგრესიაც მხოლოდ ყვირილსა და მუშტის ქნევაში გამოიხატებოდა. არავითარი იარაღი, არავითარი სისხლისღვრის წადილი. აი, ვარდოსნების დროს, იმ 2003 წლის ნოემბერში საქმე სულ სხვაგვარად იყო. ამბობენ, რომ მაშინ ნაციონალების ერთი ჯგუფი კარგადაც იყო იარაღასხმული და მართლაც მალავდა ლაბადების ქვეშ ავტომატებს. მაშინ პოლიციამაც და სამხედროებმაც, ღმერთო დიდებულო, მაშინ ისინი მართლაც ეფერებოდნენ თავიანთ ხალხს, დიდი სიფრთხილე გამოიჩინეს, ბიჭებს ურჩიეს, იარაღი უკან წაიღეთ, ისე მიდით პარლამენტთან, ყველაფერი კარგად იქნებაო. იმ ავბედით 9 მარტსაც, 9 აპრილსაც ხალხს მხარში ედგა მილიცია. ნოემბრის ვარდების თანაშემოქმედიცაა პოლიცია. აი, ვანოს მიერ ნაჩეკმა პოლიციაბარტყებმა კი უტირეს საკუთარ ხალხს დედა...

დღესაც არ ვიცი საიდან იცოდნენ იმ პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა, რომ ასეც მოხდებოდა. აი, ის კი ვიცი, შეიარაღებულებმა მიიღეს, ისმინეს მათი რჩევა. მათ შორის იყო ბევრი ჩემი თანამოქალაქე, რუსთაველი და მათგან ვიცი ეს ყველაფერი.

მაშინ, ახლა რომ ვუფიქრდები, მართლაც შეიძლებოდა



სისხლი დაღვრილიყო. ალბათ ეს შევარდნაძემაც უწყოდა. ჰოდა, ერთხელ მაინც ჭკუა იხმარა და ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე (პარლამენტში შეხლა-შემოხლა რა ჩასათვლელია, ჩაის დალევა არც დიდი რაინდობააძ, გაერიდა თავის მეფურ სავარძელს. ვიმეორებ, აი იმ იმ ნოემბრის შვიდში, როდესაც მომიტინგეთა პიკი თითქოს ჩავლილი იყო ავდარისა და სიცივისაგან შეფერთხილ მიტინგზე, ვინ რისი გადამტრიალებელი იყო. მე ხომ ვაკვირდებოდი ღირსებაშელახულ იმ ადამიანებს, ქალებს, ბავშვებს (ან საფრთხე რომ ყოფილიყო, რაღაც დენთის სუნი ეგრძნოთ, ბავშვებს იქ ვინ მიიყვანდაძ, მოშიმშილეებზე აღარაფერს ვამბობ...

ნოემბრის დღეებში იქ მყოფთა უმეტესობა ისევ და ისევ ის ადამიანები იყო, ვარდების ნოემბრის ყინვასა და თოვლში რომ ითოშებოდნენ, უკეთესი მომავლის იმედით, ხოლო გიორგობის დღის ქაშუეთის ეკლესიაში, წმინდა გიორგის შესთხოვდნენ, შეგვავედრე უფალს და მშვიდობა მოგვიტანეო.

7 ნოემბერს რაც მოხდა, იგივეა საკუთარ მშობლებზე ხელი აღმართო. არადა, ხალხი ხომ დაზარალდა, ქვეყანას იმიჯი შეელახა, არც იმ დარბევის შემოქმედ ხელისუფლებას ადგას კარგი დღე. რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, საქართველოს სახელი ხომ გაუტყდა, მერედა, რისთვის, ან სად იყვნენ ის გადამტრიალებლები (იქნებ გამოგონილ მტრებში, რომელთა აჩრდილები ღამის ძილს უფრთხობენ საკუთარი ხალხისთვის

## ◉ გორი, ქართლის შუაგული

# საათი მოედანზე

**ცაზე რომ ვარსკვლავები აინთება, თავისით როდი ხდება ეს, ვიღაცას სჭირდებაო, ამბობენ.**

ის ვილას დასჭირდა, ამ დღეებში, გორში, ქალაქის მთავარ მოედანზე აღმართულ ი. სტალინის ძეგლს წინ რომ ქუჩის საათი აუყუდეს? ჯერ ის არ კმაროდა, რომ ვიღაცის უგუნურებამ მოედნის არქიტექტურული სივრცე დააუშნოვა, ზელადიც ლამის არის საგონებელში ჩავარდეს. სტალინს არსად არ მიეჩქარება, თავის დროზე მის მიერ



შექმნილი უზარმაზარი ქვეყანა საათივით მუშაობდა. დღეს აღარც ბელადია, აღარც ის ქვეყანა. ჩვენც, ადგილობრივი ბელადების ბედოვლათობით ერთი ციცქნა არემარე შემოგვრჩა და შაგრენის ტყავივით ისიც ხელში გვადნება.

გორელები ენასხარტი ხალხია:დადგეს თუ არა, მხარის გუბერნატორის ვლადიმერ გეგელაშვილის პატივსაცემად საათს „ლადოს ბიგ-ბენი" შეარქვეს. დგას ახლა ბელადი მისთვის მიჩნეულ კვარცხლბეკზე და „ლადოს ბიგ-ბენს" ზემოდან გადმოსცქერის, თითქოს გვეუბნება: ოღონდ თქვენ რამე გეშველოთ და ეგ საათი თუ გინდათ, თავზე დამადგითო.

ქალაქის მოედანზე საათიააყუდეს თუ არა, პოლიტიკური დატვირთვაც მიეცა; ხალხში ქილიკობენ! დღევანდელი ხელისუფლების წასვლის დრო ახლოვდება და საათი უკვე ჩაირთოო. გორელებს სჯერათ, რომ ხუთ იანვარს „ლადოს ბიგ-ბენი" გრძნეულად შეირხევა და ადმინისტრაციული სახლის ბინადართ ომახიანად შესძახებს:

**— ნაციონალებო, ს ვეშჩამი!**

**გურამ ვაშაკიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

## ◉ ინფორმაცია

# „სალფორდი" საქართველოს მთავრობას უჩივის

**„სალფორდ საქართველო" საქართველოს მთავრობისაგან სს „სტანდარტ ბანკში" დროებითი მმართველობის გაუქმებასა და ბანკის მიმართ მიყენებული ზარალის დაუყოვნებლივ ანაზღაურებას მოითხოვს.**

**როგორც „სალფორდ საქართველოში" განმარტავენ, სამი კვირის შემდეგ რაც ტელეკომპანია „იმედმა" და „მთაწმინდის პარკმა" ფუნქციონირება შეწყვიტა 2007 წლის 24 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „სტანდარტ ბანკში" დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა.**

**სს „სტანდარტ ბანკის" მფლობელია აშშ-ს საინვესტიციო ჯგუფი, ხოლო ბანკის მართვას „სალფორდ საქართველო" ახორციელებს.**

**„სალფორდში" აცხადებენ, რომ 8 ნოემბრიდან დაიწყო კოორდინირებული და სისტემური კამპანია, როდესაც ბანკის კლიენტებს უკავშირდებოდნენ და მოითხოვდნენ შეეწყვიტათ საქმიანი ურთიერთობა ბანკთან.**

**„სახელმწიფო ორგანიზაციებმა, ასევე კერძო პირებმა თავიანთი ანგარიშები ბანკში დახურეს. თუმცა თავისი ფინანსური სიძლიერის წყალობით ბანკმა შეძლო კლიენტების ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით მიუხედავად ბანკის პროტესტისა. ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ ზომებთან დაკავშირებით 24 ნოემბერს ბანკს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ქადაგიძე ბანკის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა. ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც შემოღებულ იქნა დროებითი ადმინისტრაცია მიზეზად მითითებულია მხოლოდ ზოგადად ლიკვიდურობის პრობლემა დამატებითი განმარტების და დასაბუთების გარეშე", — აცხადებენ „სალფორდში".**

**მათივე ინფორმაციით, სანამ ეროვნული ბანკი დანიშნავდა დროებით ადმინისტრაციას სტანდარტ ბანკი ეროვნული ბანკის ყველა სათანადო მოთხოვნას, ლიკვიდურობის ჩათვლით, აკმაყოფილებდა.**

**„მიგვაჩნია, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან მსგავსი ქმედება ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხორციელდება და წარმოადგენს როგორც ქართული ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას.**

**უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში „სალფორდის" მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიები და „სალფორდთან" დაკავშირებული პიროვნებები და თანამშრომლები განიცდიან ზეწოლას და დაშინებას საქართველოს მთავრობის სხვადასხვა ორგანოების მხრიდან. 20-21 ნოემბერს „სალფორდის" დირექტორი ირაკლი რუხაძე, რომელიც არის აშშ-ს მოქალაქე, დაკითხვაზე იმყოფებოდა როგორც ეჭვმიტანილი. დაიკითხა კიდევ რამდენიმე პირი, მოხდა ჩხრეკა ამავე უსაფუძვლო ბრალდებასთან დაკავშირებით.**

**20 ნოემბერს ფინანსური პოლიციისა და შსს-ს წარმომადგენლები შევიდნენ „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაში", კომპანია „ტელენეტში" და „სტანდარტ ბანკში". ამ კომპანიებს და ბანკს აერთიანებს მხოლოდ ერთი რამ — მათი მართვის უფლება ეკუთვნის „სალფორდს" — აცხადებენ კომპანიაში.**

**საყურადღებოა, რომ „სალფორდი" მივიდა დასკვნამდე, რომ განვითარებულ მოვლენებს აქვს პოლიტიკური სარჩული და მიიჩნევს, რომ უცხოური ინვესტორებისათვის საქართველოში ზოგადად და განსაკუთრებით ინვესტიციებისთვის ფინანსურ სექტორში ხსენებული მოვლენები წარმოადგენს საკმაოდ შემაშფოთებელ პროცედურებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

• ძალიან ბევრი კითხვა დაუგროვდა ხალხს, შიშის სინდრომის დამკვიდრება აწი ველარ გიხსნით. ხალხმა უკვე იგრძნო საკუთარი თავის ძალა



## გულის ბუხარი

# რატომ გვირტყეს

***ღმერთმა ჰაერი მიანიჭა ადამიანს, კანონი კი მას ეუბნება, თუ გინდა, იყიდეო... შეიბრალეთ თქვენი მოყვასნი, ხომ ხედავთ რა გაჭირვება სუფევს თქვენს ირგვლივ.***

**ვიქტორ ჰიუგო**

პირის გამტეხ ნაციონალებს?ძ იქ მდგომ ადამიანებზე ლამის თითო პოლიციელი და ვინ იცის, რამდენი გადაცმული „მომწესრიგებელი“ მოდიოდა.

ეს უდიდესი შეცდომა, უფრო სწორედ კი ბოროტება, დიდი სახელმწიფოებრივი შეცდომაა და ვერც კი წარმომიდგენია, რომელ უმძიმეს დანაშაულს უნდა გაუტოლდეს. ბატონო პრეზიდენტო, აწ უკვე გადამდგარო, ამ ცოტა ხნის წინათ ძუძუმოწყურებული ხბორებივით პირდაფჩენილი პარლამენტარების წინაშე ამაყად, განაცხადეთ, მე რომ ოპოზიციონერი ვიყო, ამ ფარჩაკ ოპოზიციას რომ ვედგე სათავეში, მე ვიცი, რასაც ვიზამდიო. ისე შეკაი დედ-მამის შვილო 2 ნოემბერს გამოსულიყავი ხალხის წინაშე, დაპირებოდი იმას, რასაც ახლა ასე უხვად არიგებ. დარწმუნებული ვარ, იქ ისევ იყვირებდნენ მიშა-მიშაო, მაგრამ ეს ვერ გაბედე.

ახლა, ვაუჩერებიო, ხელფასების, პენსიების გაზრდაო, ზამთარში შეშაც გექნებათო...

სულ ტყუილია, ხალხს უკვე აღარ სჯერა თქვენი. ყველაფერ ამის ჩუქებას იგი თქვენგან არ საჭიროებს, დიდი ხანია კანონიერად ეკუთვნის, რადგან მათი ნაამაგარ-ნაოფლარია, რომ მათხოვრებივით კი არა, არამედ, როგორც ქართველ კაცს და ჩვენს ყველა მოქალაქეს ეკადრება, საკუთარი შრომით, მონაგარით არჩინოს ოჯახი, მშობლები, ცოლი და შვილი. ოდითგან ასე მოვდიოდით საუკუნეების მანძილზე. ახლა ვილაც-ვილაცეები გვწიხლავენ, ქართველებს შრომა ეზარებათო. მაშ ვინ ააგო თვალწარმტაცი ციხე-კოშკები თვით მთათა კორტოხებზეც კი. რაო, მათ არაბები გვიშენებდნენ, მონღოლები, ჩინელები თუ სხვა გადამთიელნი?!

უბედურება ისაა, ქვეყნის ეკონომიკის ასალორძინებლად არც გამსახურდიას მთავრობამ გამოილო სასიკეთო ხელი. შევარდნაძემ ხომ სულ დაგვაქცია – უნიკალური ქარხნები ჯართად გაატანინა და გააჩანაგებინა ქვეყნის მტრებს, ისევ სამთავრობო სტრუქტურებს მიტმასნილ ვაი-ქართველებს. თუმცა იმ გაძვალტყავებულ ქარხნებს დიდი პოტენციალი ვარდების რევოლუციის შემდეგაც შემორჩათ, მაგრამ ვაი რომ მაგ სანაქებო ბენდუქიძის ხელშეწყობით თქვენ ყველაფერი ჩალის ფასად გაყიდეთ და დღესაც ჰყიდით.

ის, რომ ათეულ ათასობით კაცი კვალიფიკაციაზე სამ-სამი თვით მიამაგრეთ მეწარმეებს და დაგვიმტკიცეთ, დასაქმების პრობლემას ასე ვუმკლავდებიო, სხვა არაფერი იყო, თუ არა ბლეფი, ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა. მხოლოდ მეტალურგიულმა ქარხანამ შეიკედლა რამდენიმე კაცი, სხვამ იმ ფულით რა ხეირი ნახა, ეს იმ მრავალათასიანმა მიტინგმაც დაადასტურა. ხალხი რეალურ სამუშაო ადგილებს ითხოვს, დაგვასაქმეთ, ქვეყანასაც ვარგებთ და სიდუხჭირის სამარცხვინო ჭაობიდანაც ამოვალთო. დაცარიელებულ სოფლებში დარჩენილებს ენით აღუწერელი ჭაპანწყვეტა აქვთ, მაგრამ მოყვანილი მოსავალიც რომ ვერ დაუბინავებიათ?!

სხვას არას გთხოვდნენ, ოღონდ ჩვენს მიწაზე ადამიანურად გვაცხოვრე ნუ გვწიხლავთ, ნუ გვაბეჩავებ, ნუ დაგვცინი და გვდევნი უცხოეთში, იქ მონებად საკუთარი ნებით თავს ნუ გვაყიდვინებო.

რაღაც რამდენიმე ათეულ აკადემიკოსს მაღალი ხელფასი თუ ექნება, გგონიათ ეს იმ მეცნიერებას აალორძინებს, ჩვენს სამშობლოში რომ ჩქეფდა, მსოფლიო აღიარება მოჰქონდა ამ პატარა და უქომაგო ქვეყნისთვის?!

ან რას ნიშნავს, მასწავლებლებს, ექიმებს, საბიუჯეტო ორგანიზაციათა მუშაკებს აქედანვე რომ აფრთხილებენ, ემუქრებიან, ხმას სააკაშვილს თუ არ მისცემთ, სამსახურებს დაკარგავთო?

თუ ფარულ კენჭისყრაში აპირებთ მონაწილეობის მიღებას, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ემხრობით, მაშინ საიდან იცით, დახურულ ყუთში ვინ ვის სასარგებლოდ ჩააგდებს ბიულეტენებს?

ძალიან ბევრი კითხვა დაუგროვდა ხალხს, შიშის სინდრომის დამკვიდრება აწი ველარ გიხსნით. ხალხმა უკვე იგრძნო საკუთარი თავის ძალა.

**გივი ჯახუა.**

*P. S. მაინც რა ჯოჯოხეთია მაღალი თანამდებობა? ხალხის საყვარელმა მსახიობმა დუტა სხირტლაძემ ერთხელ გაითამაშა სტალინის როლი და მერე ტელევიზიიდან სულ მუშტები უბრაგუნა თავის მაყურებელს.*

*სტალინი ბრძენთაბრძენი იყო, ხალხის ფასი იცოდა, უყვარდა კიდევაც. ამიტომაც საფლავში ლანჩებგამოხრული ფეხსაცმლით ჩავიდა. სანამ გაპრეზიდენტდებოდა, მიხეილ სააკაშვილს რამდენჯერ შევხვედრივარ. ერთხელაც, იუსტიციის მინისტრობის დროს, გუბერნატორ ლევან მამალაძეს ესტუმრა ქვემო ქართლში. მარნეულის სანაშენებო სირაქლემები რომ ნახა, იხუმრა, ჩემზე მაღლები ყოფილანო. სხვაც ბევრი გვაცინა. ასეთი შეხვედრები უპურმარილოდ როგორ ჩაივლიდა, პირისპირაც ვესაუბრე, მწერლობას შევეხეთ...*

*ღვთისგან დალოცვილი კაცია-მეთქი, მაშინ გავიფიქრე, გავიხარე, გვერდითაც სიამოვნებით დავუჯექი, თუმცა...*

*გ. ჯ.*

## მხარე

# სწრაფი რეაგირების „ბოგდანები“

***ამ ერთი თვის წინათ გორში, ქალაქის მთავარ მოედანზე, დედაქალაქის მერიის საჩუქარი – შვიდი ახალი უკრაინული ავტობუსი „ბოგდანი“ და „მერსედესის“ მარკის ორი გერმანული ნაგავმზიდი ჩაამწკრივეს. ნობათის საჯარო წარდგენაზე, როგორც ასეთ დროს ხდება, სახელდახელო მიტინგი გაიმართა, რომელსაც მაქსიმალურად დაასწრეს ადგილობრივი საკრებულოს, გამგეობის, სახელმწიფო რწმუნებულის სამსახურების თანამშრომლები, მოვიდა ათიოდე მოქალაქეც, მაგრამ არ ჩანდა ზეიმის მთავარი მონაწილე – თბილისის მერი გიგი უგულავა. ხალხი იდგა და ელოდა...***

დედაქალაქიდან დაგვიანებით გამოსული მერი მოედანზე შეკრებილთ გზიდან მესიჯებით ამხნევებდა – მცხეთა გამოვიარეთ, აი, იგოეთიც უკან დარჩა, ახლა წითელუბანში შევდივართ, არ დაიშალოთო. მაგრამ ხალხი მაინც დაიშალა, ცა მოიღრუბლა და ემანდ, არ გაწვიმდესო.

როგორც იყო, გიგი უგულავაც გამოჩნდა. გაიმართა მიტინგი. სტუმარმა ავტობუსები და ნაგავმზიდები გორელებს საზეიმოდ გადასცა, მხარის გუბერნატორმა ლადო გეგელაშვილმა მადლობით აღნიშნა, რომ „ბოგდანები“ მართლაც მისწრებაა ქალაქის და რაიონისთვის – საგრძნობლად გაუმჯობესდება მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებაო. გიგი უგულავა თბილისში გაემგზავრა, ნაგავმზიდები იქვე შეუდგნენ შრომას – ქალაქის სანიტარიული მდგომარეობა შველას ითხოვდა, „ბოგდანები“ კი ადმინისტრაციული სახლის უკანა ეზოში გადაიყვანეს. დღე დღეს მისდევდა, ავტობუსები კი ხაზზე არ გაჰყავდათ. მძღოლების კონკურსი უსაშველოდ გაიჭიმა. რაღას აღარ ამბობდნენ ხალხში: მთავარია ნაცმოძრაობის წევრობის მოწმობა გედოს ჯიბეში, თორემ მართვის მოწმობის ქონა აუცილებელი არ არისო, სხვებს მიაჩნდათ, რომ კვლავაც ფული და ნაცნობობა რჩებოდა ძალაში, მოკლედ, ტყუილი და მართალი ერთმანეთში აიზილა.



ამასობაში 6 ნოემბერიც დადგა. თბილისიდან შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. ადამიანები რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ იკრიბებოდნენ და თავიანთ გულისწყრომას გამოხატავდნენ ხელისუფლების მიმართ. ქვეყნის ყველა კუთხიდან დედაქალაქში ათასობით ადამიანი ჩავიდა ანტისამთავრობო აქციებში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ არც ხელისუფლება იჯდა უქმად. დაუდგა გორის „ბოგდანებსაც“ „თავის გამოჩენის“ შანსი. ჩასხა გეგელაშვილმა ავტობუსებში 300 კუნთმაგარი ყმაწვილი, (300 არაგველში არ აგერიოთ!ძ და თბილისის გზას გაუყენა... ორი დღის შემდეგ ავტობუსებიც და მგზავრებიც საღ-სალამათი დაბრუნდნენ უკან; აქციის მონაწილეებმა იკითხონ, თორემ...

სწრაფი რეაგირების „ბოგდანების“ პირველი საბრძოლო ნათლობა წარმატებული აღმოჩნდა.

ყველა საკონსტიტუციო წესის მიხედვით პრეზიდენტმა პოსტი დატოვა. დადგა ზამთარი წინასაარჩევნო მღელვარებისა. ცხელი დეკემბერი გველის. არჩევნებამდე, როგორც ჩანს, „ბოგდანები“ ხალხის სამსახურისთვის ვერ მოიცლიან. რა იცი, რა ატყდება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრში. ჰოდა, დგანან ახლა ამ თოვლ-ჭყაპსა და სიცივეში მერეთის, მეჯვრისხევის, უფლისციხის, ფლავისმანის, შინდისის გზებზე ადამიანები და ელოდებიან ავტობუსს.

„ბოგდანებს“ მათთვის ჯერ არ სცალიათ.

**გურამ პავლიაშვილი,**
**„სრ“ საკ.კორ.**

## ინფორმაცია

### ოპოზიციონერ პარლამენტართა მიმართ ძალადობა გრძელდება

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ფრაქცია „ჩვენი საქართველოს“ წევრი მერაბ ხურციძე ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში ტვინის შერყევის დიაგნოზით არის მოთავსებული.**



**მერაბ ხურციძის თქმით კი, მას გუშინ ღამით დიდ დიღომში ხუთი უცნობი პირი დაესხა თავს.**

**„სახლში საკუთარ ავტომობილით ვბრუნდებოდი და მოსახვევში ხუთი ადამიანი დამხვდა. მათ მანქანიდან გადმომიყვანეს და მცემეს. სიბნელე იყო და სახეები კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ვიცნობ. აშკარაა, რომ მათ ვინმეში არ ავრევივარ“, - აღნიშნა მერაბ ხურციძემ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# როდემდე?!..

**მეცნიერს ყველაზე მეტად ახარებს არა ფული, არამედ ის, რომ იცავენ მის ღირსებას, იცავენ მისი, როგორც მეცნიერის უფლებებსა და მოვალეობებს, სტატუსს**



**ინფორმაცია**

## გრანტები ქართველ მეცნიერებს

**საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ქართული სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა.**

**როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან იტყობინებიან, ქართველმა მეცნიერებმა საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის გრანტები მოიპოვეს.**

**დაფინანსება მოიპოვა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის, გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის, სერგი დურმიშიძის სახელობის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა პროექტებმა.**

**განათლების სამინისტროს ცნობით, 2006 წლის მარტიდან 2007 წლის ოქტომბრამდე, საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის მიერ, საქართველოში სულ 9 სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა. პროექტის საერთო ღირებულებაა 2 102 235 აშშ დოლარი.**

## პრემიებისთვის თანხა გამოყვეს

**საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისთვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გასაცემად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 23 400 ლარი გამოიყო.**

**აღნიშნული თანხიდან, ფულადი პრემიების გასაცემად გამოეყო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის – 1 800 ლარი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის – 3 600 ლარი; კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთვის – 3 000 ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის – 7 200 ლარი; თავდაცვის სამინისტროსთვის კი – 1 600 ლარი.**

**გარდა ამისა, პრემიების გასაცემად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის 1 800 ლარი; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისთვის 600 ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის 3 800 ლარი გამოიყო.**

**ინტერპრესნიუსი**

**თემა**

# როგორ ან რატომ ანსხვავებენ ერთმანეთისგან აკადემიკოსებს

***საქართველოს პარლამენტს ბევრი კარგი და სასიკეთო გადაწყვეტილება აქვს მიღებული. ასევე, კარგი და დროული იყო იმის დადგენაც რომ აკადემიკოსები 2008 წლის იანვრიდან გაზრდილ ხელფასებს მიიღებენ, თუმცა, ეს იყო ნახევრად კარგი და არასრულყოფილი გადაწყვეტილება, ვინაიდან გაზრდილი შრომის ანაზღაურების მიღება გაითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისთვის და ეს არ შეეხო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია კი ისეთივე სახელმწიფო ფორმირებაა, როგორიც საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემია.***

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებისთვის ხელფასების ანალოგიურად მომატების საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას პარლამენტი 2008 წლის თებერვალში აპირებს. ეს მისასალმებელია, მაგრამ, მაინც, საჭიროდ ჩავთვალე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვთქვა გარკვეული მოსაზრება, თუმცა, არა განაწყენებული კაცის სახელით, არამედ თვით მეცნიერებისა და მეცნიერის სტატუსის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე.

ჭეშმარიტი მეცნიერი ფულზე არ არის დახარბებული. ეს, დადასტურდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, როდესაც ჩვენი მეცნიერები ძალზე მწირი ხელფასის პირობებშიც კი მთელი შემართებით, მონდომებითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ თავიანთ საქმეს, თავს სწირავდნენ მეცნიერებას. ქვეყანაში, თუკი ვინმეს ექნება მაღალი ანაზღაურება, ეს პირველ რიგში მეცნიერს უნდა ჰქონდეს, და არა მარტო აკადემიკოსებს (ამჟამად, მეცნიერთა ხელფასი ზოგიერთი ჩინოვნიკისას ათჯერ და მეტჯერაც ჩამორჩება).

რით არის გამართლებული და რატომ არის აუცილებელი რომ მეცნიერს საგრძნობლად მაღალი ანაზღაურება ჰქონდეს, ამას დიდი განმარტებები არ სჭირდება. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყანა, სადაც მეცნიერება არ არის განვითარებული, სადაც ცოდნის ეკონომიკა არ ძლიერდება და სადაც მეცნიერი არ არის დაფასებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი, რაც გინდა მოვინდომოთ ის სახელმწიფო წარმატებით ვერ განვითარდება.

სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ის ეკონომიკური მექანიზმი და ინსტიტუციონალური სისტემა, რომლის ბერკეტებზე დაყრდნობითაც უნდა იმართებოდეს სახელმწიფო და რომლის გავლენითაც, XXI საუკუნის ახალი დრო ითხოვს, თვით სახელმწიფო უნდა გამოვიდეს მენეჯერის როლში.

სწორედ მეცნიერებამ უნდა შექმნას ის ტექნოლოგიები, რომელმაც გარდატეხა უნდა მოახდინოს მთელ ეკონომიკაში. ეს საუკუნე ხომ ტექნოლოგიების (განსაკუთრებით ინფორმაციული) სრულყოფის საუკუნეა.

სწორედ მეცნიერებმა უნდა შექმნას ის ტექნოლოგიები, რომელმაც გარდატეხა უნდა მოახდინოს მთელ ეკონომიკაში. ეს საუკუნე ხომ ტექნოლოგიების (განსაკუთრებით ინფორმაციული) სრულყოფის საუკუნეა.

სწორედ მეცნიერებმა უნდა გამოიყვანონ და დანერგონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, მათი მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნიკურ-ტექნოლოგიური ღონისძიებები, რამაც სრულად უნდა გააჯეროს სასურსათო ბელი და უზრუნველყოს ათეულ წლობით მოუგვარებელი სასურსათო უსაფრთხოება. ახლა ხომ უდიდეს პრობლემად ითვლება პროგრამირებული მოსავლის მიღების აგროტექნიკური სისტემების შექმნა.

სწორედ მეცნიერებამ უნდა მიაგნოს ალტერნატიულ გზებსა და საშუალებებს, რამაც უნდა გააძლიეროს ენერგეტიკული, სატრანსპორტო, აგრარული და ქვეყნის მთელი რესურსული პოტენციალი.

ეს, ძალიან მცირე და მწირი ჩამონათვალია იმ მთელი კომპლექსიდან, რაც მეცნიერებას ავალია და რომელი მძიმე ტვირთიც მხოლოდ მან უნდა ზიდოს.

აი, ამიტომაც სჭირდებათ მათ დაფასება, პატივისცემა, სოციალური, მატერიალური და კიდევ უფრო მთავარი-მორალური მხარდაჭერა და გარანტიები.

მეცნიერს ყველაზე მეტად ახარებს არა ფული, არამედ ის, რომ იცავენ მის ღირსებას, იცავენ მისი, როგორც მეცნიერის უფლებებსა და მოვალეობებს, სტატუსს, თუმცა, თუ არ ექნება საჭირო მატერიალური სახსარი, ის მეცნიერი, თვალსა და ხელს შუა ჩამოდნება და სახელმწიფოსაც დიდი დანაკარგი ექნება.

მეცნიერებაში და პრაქტიკაში ყველა მოვლენა, პროცესი, საქმე, მხოლოდ ერთიან სისტემაში უნდა იყოს მოქცეული, ანუ, სისტემური მიდგომით უნდა წყდებოდეს. საქართველოს პარლამენტმა კი, ცოტა არ იყოს, დაარღვია, ეს, დაუწერელი კანონის დონეზე დადგენილი ნორმა და ერთი სახელმწიფო აკადემიის აკადემიკოსებს გაუზარდა ანაზღაურება, მეორისა – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები კი ჯერჯერობით უყურადღებოდ და ამ სისტემის გარეთ დატოვა. ეს, ლოგიკური შეუსაბამობა და საკითხის არასწორი (დარღვევით) გადაწყვეტაა.

ახლა, ეს მოსაზრება იურიდიულადაც გავამაგროთ. სიღრმეში ნუ ჩავწვდებით ამ საკითხს და პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციურიცაა, რომელიც კვალიფიცირდება ადამიანის უფლებების დარღვევად.

როგორ და რატომ უნდა განასხვაონ ერთიდაიგივე სისტემური რგოლის ფორმირებათა (სახელმწიფო სტატუსის მქონე ორი აკადემიის) წევრები?

რით განსხვავდებიან აკადემიკოსები (მეცნიერები) ერთმანეთისაგან: ჩაცმა-დახურვით, გარეგნობით, სხეულის მოძრაობის ენით (ბოდილინგვიჯით), მეხსიერებით, აზროვნებით თუ ტვინით? ისინი, ყველაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აი, ტვინით კი, ძალიან დიდი განსხვავება შეიძლება იყოს მათ შორის. ამის დასტურია ის, რომ მეცნიერთაგან ძალზე მცირენი ღებულობენ ნობელის პრემიასა თუ სხვა აღიარებებს, მაგრამ ყველა მათგანმა, რომლებიც აკადემიკოსებად არიან არჩეულნი, ოფიციალურად დადგენილი თანაბარი მორალური და მატერიალური დაფასება უნდა მიიღოს. ის სხვა საკითხია არაოფიციალურ სივრცეში და არეალში ვისი გონება და ტვინიც როგორი უკუგებით იმუშავებს და როგორი დონით იქნება მატერიალურად წარმატებული. აქ კი, ზღვარი არ არსებობს, ამიტომაც ქუხს საზღვარგარეთ დიდ მეცნიერთა სახელი და მათი შრომის საფასურიც ჩვენთვის წარმოუდგენლად მაღალია.

ამ, ჩემს გამოხმაურებას იმიტომაც ვთავაზობ გაზეთის რედაქციას, რომ ზოგიერთმა არ იფიქროს, რატომ არ იღებენ ხმას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებიო.

ამ აკადემიის ზოგიერთი წევრი არაფრით არ ჩამოუვარდება თავისი მეცნიერული პოტენციალით, მიღწევებით, გაქანებით, პროგრესულობით, პროდუქტიულობით, ავტორიტეტით, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ასევე ზოგიერთ წევრს. ეს შედარება, რა თქმა უნდა პირობითია და გაჯიბრებას არ ნიშნავს. ამით იმას ვამბობ, რომ ამ ორივე აკადემიის წევრები ერთნაირ პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებული.

ისე კი, მე ადრეც მითქვამს და გამომიქვეყნებია, რომ, მაგალითად, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, რომელიც ჩემთვის ჭეშმარიტი მეცნიერის ეტალონს წარმოადგენს, იმდენად დიდი მეცნიერია და იმდენად მაღლა დგას სხვებზე, რომ იგი 1600 ლარს კი არა, ათჯერ და მეტჯერ მაღალ ანაზღაურებას იმსახურებს. რატომ, რა მოტივით უნდა სჯობდეს მას ზოგიერთი ჩინოვნიკი ამ პარამეტრით?

ამრიგად, დაველოდოთ 2008 წლის თებერვალს, როდესაც საქართველოს პარლამენტი დადებითად გადაწყვეტს და ერთიან სისტემაში მოიყვანს აკადემიკოსების შრომის ანაზღაურების საკითხს და ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებსაც გაზრდილ ხელფასებს დაუწესებს.

ეს საკითხი ამით არ უნდა დამთავრდეს. ამას დინამიური ხასიათი უნდა მიეცეს და ეტაპობრივად მნიშვნელოვნად გაეზარდოთ ხელფასები სხვა მეცნიერებსაც (დოქტორებს-პროფესორებს), რომელთა ნაწილიც თავისი მეცნიერული ღვაწლითა და წონით ბევრად მაღლა დგას ზოგიერთ აკადემიკოსზე.

ჯერ კიდევ მაინც საჩოთიროდ მეჩვენება, რომ არასწორი პოლიტიკის შედეგად საქართველოში არსებული ორივე სახელმწიფო აკადემია ფუნქციურად ფრთებშეკვეცილია. ამიტომ, პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გადახედოს იმ პრინციპულ პოზიციას, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უფრო კარგად მოფიქრებული ფორმით დაუკავშირდნენ ამ აკადემიებს, ეს, ეხება კოორდინაციასაც, სამეცნიერო თემატიკის შედგენასაც, სამეცნიერო ანგარიშების ამ აკადემიათა სპეციფიკის შესაბამისად წარდგენა-შეფასებასაც, საწესდებო ნორმების სრულყოფასაც, ფინანსების განაწილებასაც, საგრანტო თემების მიღებასა და შეფასებასაც და ბევრ სხვა საკითხს.



**ომარ ქეშელაშვილი,**
**საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

**დღეისათვის ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და შიმშილობის პირამდე მისული მოსახლეობის მდგომარეობა თაღლითებს საქმიანობისათვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის**



## ინფორმაცია

### კაზაკები ჩვენს წინააღმდეგ ერევანში გაერთიანდნენ

**აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის, სომხეთის, მთიანი ყარაბაღის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ყირიმის კაზაკურმა გაერთიანებებმა ერევანში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.**

**ალანიის კაზაკური გაერთიანების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება, დღეს, როდესაც კავკასიაში ასე გართულებულია სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა, „როგორც არასდროს ისე დროული და საჭიროა“.**

**„თუკი აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დნესტრისპირეთში ან მთიან ყარაბაღში რამე მოხდება, ყველა კაზაკური გაერთინება ერთმანეთის გვერგით დადგება“, — აცხადებენ ალანიის კაზაკური გაერთიანების წევრები.**

### დევნილებს ექიმები 28 ნოემბრამდე მოემსახურებიან

**თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისთვის უფასო სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება 28 ნოემბრამდე გასტანს.**

**სამედიცინო კვლევას ექვემდებარებიან თბილისის ზღვასა და უშიშროების სამსახურის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები დევნილები.**

**როგორც ჯანმრთელობის სამინისტროში აცხადებენ, მსგავსი აქციები საქართველოს სხვა რაიონებშიც ჩატარდება. დევნილებისთვის საკმარისია მედიკამენტებიც, რომელსაც გამოკვლევების შემდგომ პირველ ეტაპზე ისინი მიიღებენ.**

### ბანკის ფილიალი — ისნის რაიონში

**ბანკმა „რესპუბლიკამ“ ისნის რაიონში ახალი ფილიალი გახსნა.**

**ეს უკვე მეხუთე ფილიალია, რომელიც ბანკმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საფინანსო ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალთან“ ინტეგრაციის შემდეგ გახსნა.**

**ფილიალის საზეიმო გახსნას ბანკის ხელმძღვანელობა, კერძოდ ბანკ „რესპუბლიკის“ გენერალური დირექტორი ჟილბერი დაესწრო.**

**როგორც მან პრეზენტაციაზე განაცხადა, მომავალში, ყოველწლიურად, ბანკი 12-15 ახალ ფილიალს გახსნის და კლიენტებს უფრო უკეთეს მომსახურებას შესთავაზებს.**

**ბანკში ამჟამად 700-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მას 32 ფილიალი და სერვის-ცენტრი აქვს.**

**ინტერპრესნიუსი**
**ჯი-ეიჩ-ენი**

## საზოგადოება

*დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში ხელისუფლებამ მოსახლეობას თაღლითობის უნიკალური მაგალითი მისცა. სიგუას მთავრობამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ წლების განმავლობაში შეტანილი დანაზოგი მიითვისა, მეანაბრეები გადააგდო. მთავრობის ამ ნაბიჯის კვალდაკვალ სოკოებივით მომრავლდა კომერციული ბანკები. მათ მფლობელებსა და ლობისტებს წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი თაღლითობის გზით პირამიდის წესით ფულის მითვისება. მეანაბრეებს ბანკები ანაბრებზე ზღაპრულ პროცენტებს სთავაზობდნენ. მათ მიერ დაწესებული 20-25 პროცენტი ყოვლად გაუმართლებელი ფუფუნება გახლდათ. განვითარებულ ქვეყნებშიც კი ბანკების მხრიდან მოქალაქეებზე წლიურად 7 პროცენტზე მეტი დივიდენდი არ გაიცემა, ჩვენთან კი ამ ასტრონომიულ დანარიცხებს ყოველთვიურად იძლეოდნენ, შედეგად მივიღეთ გაქცეული ბანკირები, დაკეტილი ოფისები, ათასობით მოტყუებული მეანაბრე და მათგან მითვისებული რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი და შსს-ში ათიათასობით შესული საჩივარი.*

ჩვენი რესპონდენტი — ყოფილი გამომძიებელი (ვინაობის დასახელებისაგან თავს იკავებსძ, რომელსაც იმ წლებში გარკვეული შეხება ჰქონდა სამართალდამცავ სტრუქტურებში შესულ „გადაგდებულ“ მეანაბრეებთან და კომერციული ბანკების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებთან, ამტკიცებს, რომ ბანკების დამაარსებლებს, ვითომდა „პრეზიდენტებსა“ და მათ გავლენიან მფარველებს სახელისუფლებო სტრუქტურებში, წინასწარ ჰქონდათ გათვლილი, რა მოგება დარჩებოდათ, როგორი სცენარით უნდა განვითარებულიყო მოვლენები. „საქმეების გაცნობისთანავე ცხადი ხდებოდა, რომ პირთა ჯგუფი შეთანხმებულად მოქმედებდა.

დაარსებულ კერძო ბანკებს არავინ სთხოვდა სერტიფიკატს, არ მოწმდებოდა მათი უძრავმოძრავი ქონების ღირებულება. არ ხდებოდა შემოწმება, თუ როგორი ფინანსურ და სასაქონლო ოპერაციებს აწარმოებდნენ ბანკები. ხალხის მოსაზიდად დასახელებულმა მაღალმა პროცენტებმა და ტელევიზიის ყველა არხით გასულმა სარეკლამო კლიპებმა თავისი საქმე გააკეთეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი წამოეგო თაღლითების ანკესს. ბევრი ოჯახი ღია ცის ქვეშ დარჩა, ამ აფიორამ თაღლითები თვით დაზარალებულ მეანაბრეებშიც გამოავლინა. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ზოგიერთი მეანაბრე სხვებსაც უკეთებდა აგიტაციას, მაგრამ ახლადმიყვანილს ატყუებდა. — ეუბნებოდა, რომ ბანკი 15-20-პროცენტიან დივიდენდს იძლეოდა, თვითონ კი 5-10 პროცენტს უტეხავდა თავის მიყვანილს, მეგობარს, მეზობელს. თაღლითობა ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. როდესაც მეანაბრეები ფაქტის წინაშე დააყენეს და ბანკირები გაიქცნენ, ხალხის დიდი ნაკადი სამართალდამცავებს მიაწყდა. გაქცეულებზე ძებნა გამოცხადდა. საქმეში ისევ დაზარალებულები ჩაერთვნენ. მათ („თავისი“ ბანკების მიხედვითძ შექმნეს საკოორდინაციო საბჭოებისმაგვარი ორგანოები, რომლებსაც თაღლითების მიერ მიტოვებული ქონება და გადარჩენილი ათასობით დოლარი უნდა განეკარგათ. ფულის ბრუნვა ისე უნდა წარმართულიყო, რომ ყველა მეანაბრე დაეკმაყოფილებინათ. ცოტა ხანში გაირკვა, რომ მეანაბრეთა საბჭოს წევრები თავიანთ წინამორბედებზე არანაკლებ თაღლითები ყოფილან. აქაც მოხდა თანხების მითვისება, მეანაბრეთა მხოლოდ 3-5 პროცენტი თუ დააკმაყოფილეს. დანარჩენებს კი უხსნიდნენ, — თანხები სხვადასხვა ბიზნესში დააბანდეს, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ზოგ შემთხვევაში გემი ჩაიძირა, ზოგში შაქარი დასველდა, თევზი უშუქობის გამო მაცივრებში გაფუჭდა და ა.შ. შსს-ში დაიწყო ახალი საჩივრების შემოსვლა — ამჯერად უკვე ორმაგად დაზარალებულები ახალი ტიპის თაღლითებს უჩიოდნენ. ამჯერადაც არავინ დასჯილა“.

ჩვენი რესპონდენტის განმარტებით, მიუხედავად არსებული ზღვა მასალისა, ყალბისმქნელთა 80 პროცენტი დღესაც თავისუფალია. ჩვენი მოსაუბრის განმარტებით, მას კარგად ახსოვს გამოძიების პერიოდში როგორი ზეწოლა ხდებოდა გამომძიებელ ზაზაშვილზე. მას ფაქტობრივად გახსნილ საქმეებს ახურინებდნენ. თაღლითებს „ზევით“ ძლიერი მფარველები



# თაღლითები ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებით საქმიანობენ

ჰყავდათ. — აცხადებს ყოფილი გამომძიებელი.

ბანკირების დაუსჯელობით გათამამებული თაღლითები სხვა სფეროებსაც მოედნენ.

დღეისათვის ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და შიმშილობის პირამდე მისული მოსახლეობის მდგომარეობა თაღლითებს საქმიანობისათვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის.

ექსპერტთა გათვლებით, თაღლითობაში ლომის წვლილი უდევს საზღვარგარეთ გამგზავრებისა და სამუშაოს დაწყების მსურველთა მოტყუების ფაქტებს.

64 წლის, ადრე თაღლითობისათვის ნასამართლევმა მაგული მონიავამ ათეულობით მოქალაქისაგან აკრიფა ათასობით დოლარი. მათ იტალიაში გამგზავრებას ჰპირდებოდა. ყველა ვადის გასვლის შემდეგ მოტყუებულებმა სამართალდამცავებს მიმართეს. თაღლითი დაკავებულია.

მარინა ჩინჩალაძემ, იგივე მარინა ქავთარაძემ წელიწადნახევრის მანძილზე 1000-ზე მეტი კაცი მოატყუა. იგი თავის კლიენტებს ეცნობოდა, როგორც „ბრიტიშ პეტროლიუმის“ თანამშრომელი. მამაკაცებს ნავთობსადენის მშენებლობასა და „ბიპიში“მძღოლად მუშაობას ჰპირდებოდა, ქალებს „ბიპის“ კვების ობიექტებზე, ან მომარაგების სამსახურებში „ასაქმებდა“. თითოეული მსურველისაგან 1000-1500 დოლარს იღებდა და 500-600-დოლარიან სამსახურის გარანტიას იძლეოდა. თავისი საქმიანობა ვინმეს რომ საეჭვოდ არ მოსჩვენებოდა, ჩინჩალაძე მათ „ლეჩკომბინატში“ აგზავნიდა სხვადასხვა ანალიზებისა და ცნობების ასაღებად. საავადმყოფოს მედპერსონალის თვალის ასახვევად კი გაგზავნილთ „ბიპის“ შვილეული კომპანიის „პეტროფაგის“ ყალბ პასპორტებს აძლევდა, რომლის მიხედვითაც ანალიზების აღების მსურველები „ბიპის“ მომსახურე პერსონალად იწოდებოდნენ. რამდენიმე პირს ჩინჩალაძემ „ინტერნეშენელ ჰაუზის“ ყალბი სერტიფიკატიც კი მისცა, — თითქოსდა მის მფლობელს ინგლისური ენის სრული კურსი ჰქონდა გავლილი და დამატებითი გამოცდებისაგან თავისუფლდებოდა. ჩინჩალაძემ მთელი ქვეყნის მასშტაბით თაღლითობის ქსელი გააბა — 5 სხვადასხვა რეგიონში ოფისის ფილიალები იყო გახსნილი. სამართალდამცავთა მონაცემებით, თაღლითმა ქალმა ორ მილიონ დოლარზე მეტი მიითვისა. მარტო „ლეჩკომბინატში“ მის მიერ ცნობებისათვის გაგზავნილი 900 პირი დადგინდა (ქვითრების მიხედვითძ. ჩინჩალაძეს თავისი საქმიანობის ფინალი წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული და დაზარალებულების სამართალდამცავებთან მისვლამდე გაუჩინარდა. თბილისში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია იმ რაიონში ჰქონდა გავლილი, სადაც არასოდეს არ უცხოვრია.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქე თაღლითები არა მხოლოდ უცხოური ფირმების სახელებსა და ყალბ საბუთებს იყენებენ. დაფიქსირდა შემთხვევები უცხოური ფირმების, ზოგჯერ საელჩოების მოტყუებისაც კი. შპს „საქართველოს უძრავი ქონების კომპანიას“ გოეთეს სახელობის კულტურის ცენტრის რეკონსტრუქციისათვის სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ხელშეკრულება გერმანიის საელჩოსთან გაფორმდა. შპს-ს დირექტორმა ვახტანგ აბესაძემ საელჩოდან რამდენიმეჯერ გაიტანა სარემონტო თანხები — 13 ათასი ევრო, სამშენებლო სამუშაოები კი არ ჩატარებულა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

თბილისელი ელეონორა შუბითიძე სასტუმრო „ივერიის“ დატოვების საფასურად ლტოლვილებისათვის საკომპენსაციო თანხის — 7 ათასი დოლარის მიღებას ითხოვდა. იგი თავისი სამართლიანობის დამტკიცებას იძულებით გადაადგილებულისა და სასტუმრო „ივერიაში“ ჩაწერის დამადასტურებელი მოწმობებით აპირებდა. გაირკვა, რომ საბუთები ყალბია. მოკვლევით ირკვევა, რომ ყალბი დოკუმენტები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერაა გაცემული.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში მონაწილის სტატუსის, შეღავათებისა და აქედან გამომდინარე პენსიების დანიშვნას დღესაც ცდილობენ. ზოგი იმასაც ახერხებს, რომ გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ომის ინვალიდობის მოწმობასაც იღებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლებმა გამოავლინეს თამაზ პაპავა, ბორის ნადარეიშვილი, ლიანა ჭითავა და ვერა კვანტალიანი. მათ სხვადასხვა ხერხებით მოახერხეს ომის მონაწილის ინვალიდის, დევნილის სტატუსის მიღება და დაინიშნეს შესაბამისი პენსიები, წლების განმავლობაში სარგებლობდნენ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით. გამოვლენილ პირებს დაეკისრათ თანხის სრული დაფარვა. მიმდინარეობს გამოძიება ყალბი დოკუმენტების გამცემთა გამოსავლენად.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, თაღლითობას, ყალბი საბუთების გაცემას არც ხელისუფლების წარმომადგენლები ერიდებიან. ასევე სტატისტიკაზე დაყრდნობით, გამყალბებლების, თაღლითებისა და მათი მფარველების დაკავება ხდება შერჩევით, მხოლოდ ხელისუფლების დაბალ ეშელონებში. სამართალდამცავებმა გამოავლინეს კაჭრეთის საკრებულოს თავმჯდომარის გივი რამაზაშვილის, გურჯაანის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის ემილ კორძაიასა და ამავე რაიონის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსის გივი სანიშვილის ალიანსი კაჭრეთის აგროფირმა „კაჭრეთის“ დირექტორთან ნოდარ ბაზერაშვილთან. „ოთხეული“ რაიონის მსესხებელ მაცხოვრებლებზე ქონების ფლობის ყალბ დოკუმენტებს ამზადებდა. გაყალბებული საბუთებით მათ მიერ შერჩეულმა სანდო პირებმა „აგრობიზნესბანკიდან“ 133 800 ლარი გამოიტანეს და მიითვისეს.

იხ. 12 გვ.

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● ოპოზიციის ლიდერები ირწმუნებიან, რომ გამარჯვების შემთხვევაში კონსტიტუციაში შეიტანენ ცვლილებებს და ქვეყანა გახდება საპარლამენტო რესპუბლიკა ან მონარქია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## წყვილდ, რომ დაბრუნდეს

### ქართულ ოპოზიციას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის იმედი აქვს



**ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში მართლაც 2008 წლის 5 იანვარს შედგება, როგორც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხალხს დაპირდა კიდევაც. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა რიგგარეშე სხდომაზე საქართველოს პარლამენტმა. დღეს კი ქვეყანაში ოფიციალურად იღებს სტარტს საარჩევნო კამპანია. წინა დღეს სააკაშვილი, რომელიც კენჭს მეორე საპრეზიდენტო ვადით იყრის, გადადგა.**

კონსტიტუციის შესატყვისად პრეზიდენტის მოვალეობებს ახლა პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ასრულებს. ის სახელმწიფოს მეთაურს შეცვლის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე, თუმცა კანონი მნიშვნელოვნად უკვეცავს უფლებებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, რომელსაც არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება მთავრობისა და ძალოვანი მინისტრების გადადგომის თაობაზე.

პრეზიდენტის პოსტიდან როცა მიდიოდა, სააკაშვილმა აუცილებლად დაბრუნების პირობა დადო. მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ყრილობაზე გასულ პარასკევს შეკრებილი სახელმწიფო მეთაურის მომხრენიც იყვნენ დარწმუნებული თავიანთი კანდიდატის გამარჯვებაში. აქვე სათქმელად, პრეზიდენტმა ყრილობაზე სამშვიდობო ჟესტი გაიმეტა ოპონენტთა მისამართით. „საქართველოს შიგნით ჩვენ მტრები არა გვყავანან. ჩვენ ისედაც ცოტანი ვართ. მოდით, საქართველოს მომავლის გულისათვის დავივიწყოთ ყველაფერი, რაც იყო, რაც ცუდი იყო. დღეს მე ხელს ვუწვდი ყველა პოლიტიკურ ოპონენტს“. ოღონდ ამ უკანასკნელებმა არაფრის დავიწყება არ ისურვეს. მათ უბრალოდ უარი თქვეს პრეზიდენტისათვის „ხელის ჩამორთმევაზე“ და განაახლეს საპროტესტო ქუჩის აქციები. ძალადობის წინააღმდეგ მიმართულმა კვირის მანიფესტაციამ სიმბოლურად გაიარა რიყეზე და რუსთაველის გამზირზე, სადაც 7 ნოემბრის დრამატული ამბები დატრიალდა, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტები ძალით გარეკეს.

სადღეისოდ მიხეილ სააკაშვილს მთელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი უპირისპირდება. პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრა განზრახული აქვთ ლევან გაჩეჩილაძეს (როგორც ერთიან კანდიდატს „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ძ, დავით გამყრელიძეს („ახალ მემარჯვენეთა“ ბლოკი, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაძ, გიორგი მაისაშვილს (მომავლის პარტიაძ, შალვა ნათელაშვილს (საქართველოს ლეიბორისტული პარტიაძ და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსს. მსურველთა სია ეგებ კვლავაც შეივსოს. ამ დღეებში თბილისის ინგლისურენოვანი გაზეთი იუწყებოდა, რომ ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი (რომელმაც თვითონ განაცხადა საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებძ და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერები კონსულტაციებს მართავენ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურის გარშემო. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტობის ორმა კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ და დავით გამყრელიძემ ამომრჩევლებს გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტის პოსტის გაუქმება აღუთქვა.

5 დეკემბრამდე საინიციატივო ჯგუფებმა 50-50 ათასი ხმა უნდა მოაგროვონ თავიანთ კანდიდატთა მხარდასაჭერად. ეგ კია, რომ მიუხედავად წინასაარჩევნო კამპანიის დაძვრისა, ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა 7 ნოემბრის მიტინგის დარბევის შემდეგ დახურული ტელეკომპანია „იმედის“ მუშაობის განახლების საკითხი. ამასობაში „იმედის“ პოლიტიკური თოქ-შოუების ორმა წამყვანმა ინგა გრიგოლიამ და ეკა ხოფერიამ ტელეარხის დატოვების თაობაზე განაცხადეს.

ქართულმა გაზეთმა „რეზონანსმა“ ახლახან სატელეფონო გამოკითხვა ჩაუტარა მკითხველებს, რომლის მსვლელობაში „საპრეზიდენტო რეიტინგში“ წინ გაიჭრა „გაერთიანებული ოპოზიციის“ კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს ორი პროცენტით გადაუსწრო. მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები შესაბამისად ბადრი პატარკაციშვილმა, დავით გამყრელიძემ და შალვა ნათელაშვილმა დაიკავეს. როგორც „ნოვიე იზვესტიას“ უთხრა საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილმა პრეს-მდივანმა რამაზ საყვარელიძემ, საპრეზიდენტო არჩევნები, უფრო სავარაუდოდ ორ ტურად ჩაივლის. „ახალ მემარჯვენეთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ კი უკვე მოუწოდა გაერთიანებისკენ მთელ ოპოზიციას მეორე ტურის ჩატარების შემთხვევაში.

**ირინე ბარამიძე**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

## საქართველოს ნინო ბურჯანაძე ჩაუდგა სათავეში

**დღეს საქართველოში იწყება პოლიტიკური მეტოქეობის ახალი ეტაპი – ცესკო 5 იანვრის ვადამდელ არჩევნებზე პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ პრეზიდენტობის კანდიდატთა ათდღიან რეგისტრაციას ხსნის. კანდიდატთა სიაში მოსახვედრად, რომელსაც ცესკო 12 დეკემბერს გამოაქვეყნებს, აუცილებელია მომხრეთა 50 ათასი ხელმოწერის შეგროვება.**

გუშინ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტის უფლებამოსილებანი მოიხსნა. როგორც ოთხი წლის წინათ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის მერე, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ქვეყანას უხელმძღვანელებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

16 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დასრულების შემდეგ გუშინ ოპოზიციამ პირველად გამოიყვანა მომხრეები რუსთაველის პროსპექტსა და ევროპის მოედანზე – იქ, სადაც 7 ნოემბერს სამართალდამცველთა ძალებმა წყალმტყორცნები, ცრემლმდენი გაზი და ხელკეტები გამოიყენეს. „სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ვერ დაბრუნდება. ოპოზიცია გაიმარჯვებს არჩევნებზე“ – განაცხადა რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა თინათინ ხიდაშელმა.

ორგანიზატორთა მონაცემებით, აქციაში მონაწილეობდა არანაკლებ 30 ათასი დემონსტრანტი. ამან იმედი ჩაუნერგა ოპოზიციის ლიდერებს – მისი მომხრეების შეშინება ხელისუფალთ არ გამოუვიდათ. მიტინგებმა ჩაიარეს ლოზუნგებით „ძალადობას უარი“ და „მიშა უიმედოა“. ბოლო შემთხვევაში გათამაშებულია ტელეკომპანია „იმედის“ სახელწოდება, რომლის მაუწყებლობის აღდგენასაც მოითხოვს როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ისე ქართული ოპოზიცია.



გასულ შაბათს, მთავრობასთან დამშვიდობებისას, ბატონმა სააკაშვილმა 5 იანვარს „აშკარა უპირატესობით“ კონკურენტთა დამარცხების რწმენა გამოთქვა. თანაც პერსონალური დავალება მისცა ყოველ მინისტრს – არჩევნებამდე დარჩენილი 40 დღის მანძილზე „აერიდებინათ პროვოკაციები, რომლებიც უთუოდ იქნებიან“. გადადგომის წინ პრეზიდენტმა იუწყა, რომ მთელ მსოფლიოს თხოვს „არჩევნებზე მაქსიმალურად ბევრი დამკვირვებლის გამოგზავნას“. ამავე დროს ყველა კანდიდატს აღუთქვა თანაბარი წინასაარჩევნო პირობები, მასმედიას კი – თავისუფლება.

ეთერში დაბრუნება „იმედისთვის“ არ იქნება იოლი. საქმე მარტო შტურმის დროს სპეცრაზმისგან გაძარცული აპარატურა და განადგურებული არქივი როდია. ჯერ ერთი, ხელისუფლება ახლა სკრუპულოზურად გააკონტროლებს იმ არხის საქმიანობას, რომელიც, როგორც ირწმუნება, ოლიგარქ არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილის რუპორი იყო. მეორეც, არხი უკვე დატოვა თოქ-შოუს ორმა ცნობილმა წამყვანმა ქალმა. დეპუტატ-კონსერვატორმა ზვიად ძიძიგურმა დაპირება გამოთქვა, რომ პერმანენტულად მოაწყობენ მიტინგებს პარლამენტის ახლოს რუსთაველის პროსპექტზე, თუ ხელისუფალნი არ „ჩართავენ“ „იმედს“.

„ოპოზიცია მიტინგების ტალღას გაამძლავრებს მომხრეთა მობილიზაციისა და შესაბამისი პოლიტიკური გრადუსის შენარჩუნების მიზნით“, – უთხრა გაზეთ „ვრემია ნოვოსტეის“ ქართველმა პოლიტოლოგმა შალვა ფიჩხაძემ. ჩვენი თანამოსაუბრის აზრით, მიხეილ სააკაშვილი „აქცენტს გადაიტანს ადმინისტრაციულ რესურსზე, რადგანაც ხალხის ნდობა მან სალი ანგარიშით, დაკარგა. ხოლო თუ იქნება მეორე ტური, ოპოზიციას გაერთიანების უნარი შესწევს“. ჯერჯერობით იმათ შორის, ვისაც სააკაშვილის ოპონირება განუზრახავს, ყველაზე „ბრძოლისუნარიანნი“ არიან დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც წამოაყენა ცხრა პარტიისა და მოძრაობის გაერთიანებამ, „ახალ მემარჯვენეთა“ ლიდერი, პარლამენტარი დავით გამყრელიძე, ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი, მომავლის პარტიის მეთაური გიორგი მაისაშვილი, აგრეთვე ბიზნესმენი არკადი (ბადრიძ პატარკაციშვილი.

5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად შედგება პლებისციტი იმაზე, თუ როდის გაიმართოს საპარლამენტო არჩევნები: მომავალ გაზაფხულზე, როგორც ამას ოპოზიცია მოითხოვს (სწორედ ამ მიზეზით დაიწყო პროტესტის აქციები ნოემბრის დასაწყისშიძ, თუ შემოდგომაზე, როგორც ხელისუფლებას დაუჟინია. საქართველოს ხელმძღვანელები ამბობენ, რომ რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები მარტში შეიძლება ახალი შეზანზარებებით შემოტრიალდეს ორი ქვეყნის ურთიერთობებში და წინადადება შემოაქვთ უფრო გვიანდელი ვადისთვის საპარლამენტო არჩევნების გადაწევის თაობაზე.

ოპოზიციის ლიდერები ირწმუნებიან, რომ გამარჯვების შემთხვევაში კონსტიტუციაში შეიტანენ ცვლილებებს და ქვეყანა გახდება საპარლამენტო რესპუბლიკა ან მონარქია. პრეზიდენტის თანამდებობას საქართველოში არ უმართლებს. 1992 წლის იანვარში, ამ პოსტზე რვა თვეზე ნაკლები დროის ნამუშევარი 51 წლის ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, რომ თბილისიდან გაქცეულიყო – ეროვნული გვარდია და ვოენიზებული ფორმირება „მხედრიონი“ აუჯანყდნენ. 1992-1995 წლებში საქართველოს ხელმძღვანელობდა პარლამენტის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა „სახელმწიფოს მეთაურად“. 1995-2003 წლებში ის პრეზიდენტი გახლდათ, თუმცა მეორე ვადის დასრულებას ვერ ეღირსა და „ვარდების რევოლუციის“ დროს გადადგა 75 წლის ასაკში. ხუთწლიანი კადენცია – საქართველოში კი ორჯერ ზედიზედ შეიძლება კაცის არჩევა – ვადამდე შეწყვიტა 39 წლის ბატონმა სააკაშვილმაც, რომელმაც პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 2004 წლის იანვარში.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.



პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარე და მისი პოლიტიკური თანამოაზრენი მიიჩნევენ, რომ მოლაპარაკების პროცესის განგრძობა უკეთესი გამოსავალია, ვიდრე კონფრონტაცია

# საბერძნეთში მასმედიის მუშაკები გაიფიცნენ

**საბერძნეთში სახელმწიფო და კერძო მასმედიის მუშაკებმა სამშაბათს 24-საათიანი გაფიცვა გამოაცხადეს. აქციაში მონაწილეობს გაერთიანებული ათენის საინფორმაციო სააგენტო — მაკედონიის ახალი ამბების სააგენტო, რომელიც სამშაბათს დილის 6 საათიდან ოთხშაბათს დილის 6 საათამდე არანაირ ინფორმაციას არ გადასცემს. სააგენტოების პროტესტს პრესისა და ტელე-რადიო კომპანიების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. არ გადაიცემა ახალი ამბები, რეპორტაჟები, ეთერში არ გავა საინფორმაციო გადაცემები საბერძნეთიდან და საზღვარგარეთიდან, არ გამოვა გაზეთები, მათ შორის, არც უფასო. ჟურნალისტები აპირებენ ასევე ბოიკოტი გამოუცხადონ პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს და შეხვედრებს. ამასთან, ათენის ყოველდღიური გაზეთების რედაქტორთა კავშირი სამშაბათს გამართავს მიტინგს, მოეწყობა აგრეთვე მარში საბერძნეთის დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ქვეყნის პარლამენტისკენ.**



ჟურნალისტები აპროტესტებენ მთავრობის განზრახვას, არსებითი ცვლილებები შეიტანოს ქვეყნის საპენსიო სისტემაში. ეს ცვლილებები გულისხმობს, რომ მთავრობა აპირებს გაერთიანების გზით 150-დან დაახლოებით 20-მდე შეამციროს საპენსიო ფონდების რიცხვი. ამასთან, ჟურნალისტთა „მდიდარი“ საპენსიო ფონდი უნდა გაერთიანდეს თერაპევტების, ინჟინრებისა და იურისტების ნაკლებად საიმედო და წარსულში ფინანსური პრობლემების მქონე საპენსიო ფონდთან.

რაც შეეხება მთავრობის გადაწყვეტილებას, იგი მოტივირებულია იმით, რომ მოსახლეობის დაბერების პროცესისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის გამო ქვეყნის საპენსიო სისტემას 15 წლის განმავლობაში გაკოტრება ელის, თუ მისი რეფორმირება დაუყოვნებლივ არ დაიწყება.

საპენსიო სისტემის რეფორმის მთავრობისეულ გეგმებს ქვეყნის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანებებიც აპროტესტებენ. მათ 12 დეკემბრისათვის უკვე დანიშნეს 24-საათიანი საყოველთაო გაფიცვა.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს საბერძნეთს საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა საგაფიცვო მოძრაობამ. აპრილში დასუფთავების სამსახურის მუშაკთა გაფიცვის გამო ათენი ნაგვით გაივსო, ხოლო დეკემბერში საყოველთაო გაფიცვამ ქვეყნის ეკონომიკის პარალიზება მოახდინა.

# ანაპოლისის კონფერენცია: ოპტიმისტები და პესიმისტები

**შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გამოთქვა იმედი, რომ ანაპოლისის საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე წარმატებით დაგვირგვინდება. ისრაელის პრემიერ-მინისტრთან ეჰუდ ოლმერტთან და პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარესთან მაჰმუდ აბასთან შეხვედრების შემდეგ მან განაცხადა, რომ სერიოზული დიალოგის მოლოდინშია. ახლო აღმოსავლეთის ორმა ლიდერმა აგრეთვე ოპტიმიზმი გამოთქვა მომავალ სამიტთან დაკავშირებით.**

ანაპოლისის კონფერენციის ძირითადი მიზანია დასახოს პირობები მოლაპარაკების დაწყებისათვის, რომელსაც პალესტინის სახელმწიფოს შექმნა მოჰყვება. კონფერენციაში 40-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ანაპოლისში არ მიუწვევიათ ჰამასის მოძრაობის წარმომადგენლები, თუმცა მათ ამერიკული სამიტის ალტერნატიული შეხვედრა გამართეს. ღაზაში პალესტინელთა რამდენიმე მოძრაობის, მათ შორის ჰამასისა და „ისლამური ჯიჰადის“ ლიდერები შეიკრიბნენ. შეხვედრის დელეგატებმა დაგმეს საერთაშორისო სიონიზმი და პალესტინის შინაური მტრები. ისინი ფიქრობენ, რომ ანაპოლისის კონფერენციას მათთვის სასურველი შედეგები არ მოჰყვება. პალესტინელთა უმრავლესობას, როგორც ღაზას სექტორში, ისე დასავლეთ სანაპიროზე, ამ კონფერენციის წარმატების არ სწამს.

ეს განწყობილება ავტონომიის ლიდერებსაც გადაედოთ. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ მაჰმუდ აბასი აცხადებდა, რომ ყველა პრობლემა წლის დამლევამდე გადაიჭრებოდა. დღეს მისი თანამოაზრენი აშკარად უფრო ფრთხილობენ აზრების გამოთქმისას. „თუ ანაპოლისის შეხვედრას წარმატება არ მოჰყვა, ეს ჩვენი ბრალი არ იქნება, მაგრამ ყველა დარწმუნდება, რომ მშვიდობისათვის ბოლომდე ვიბრძოდით“, — განაცხადა ბი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში მაჰმუდ აბასის მრჩეველმა რაფიკ ჰუსეინიმ.

პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარე და მისი პოლიტიკური თანამოაზრენი მიიჩნევენ, რომ მოლაპარაკების პროცესის განგრძობა უკეთესი გამოსავალია, ვიდრე კონფრონტაცია.

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა სომხეთთან ომის ალბათობას „თითქმის 100-პროცენტიანი“ უწოდა

**აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა საფარ აბიევმა, სამშაბათს ასტანაში დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის ალბათობის სავსებით შესაძლებელი უწოდა. „სანამ სომხეთს ოკუპირებული აქვს აზერბაიჯანის ტერიტორია, ომის ალბათობა თითქმის 100-პროცენტიანია“, — განაცხადა მან ყარაბაღის პრობლემის შესახებ ჟურნალისტების კითხვებზე პასუხის გაცემისას, — იტყობინება „ინტერფაქსი“.**

თავის მხრივ, სომხეთის თავდაცვის მინისტრმა მიქაელ არუთუნიანმა აზერბაიჯანელი კოლეგის აბიევის განცხადებას „კატეგორიული“ უწოდა და აღნიშნა, რომ სომხეთი ვერ ხედავს ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის ალტერნატივას. „როცა ორი ქვეყნის პრეზიდენტები ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე მოლაპარაკებას მართავენ, ასეთი განცხადებები მეტისმეტად კატეგორიულია. ეს არ არის თავდაცვის მინისტრის უფლებამოსილება, მით უმეტეს, როცა უმაღლესი მთავარსარდლები, ჩვენი სახელმწიფოების პრეზიდენტები მოლაპარაკებას აწარმოებენ ამ საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე“, — უთხრა მან ჟურნალისტებს. „ჩვენ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის ალტერნატივას ვერ ვხედავთ“, — ხაზი გაუსვა არუთუნიანმა.

ხელისუფლების სათავეში ილჰამ ალიევის მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანმა გაააქტიურა ძალისხმევა ყარაბაღის დაბრუნების მიზნით. ამასთან, მკვეთრად იჩინა თავი უთანხმოებამაც. ჯერ კიდევ ზაფხულში ალიევი სომხეთს ომით ემუქრებოდა, თუ იგი სადავო ტერიტორიებს არ დათმობდა.



ოქტომბერში დაცვის საგანგებო სახელმწიფო სამსახურის სასწავლო ცენტრის გახსნისას მან კვლავ განაცხადა, რომ აზერბაიჯანი მზად უნდა იყოს იარაღის გამოყენებით გაათავისუფლოს სომხეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები.

ნოემბრის შუა რიცხვებში კი საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფმა გამოაქვეყნა ანგარიში ყარაბაღში ომის რისკის შესახებ. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ახლა, სომხეთსა და აზერბაიჯანში არჩევნების წინ, ქვეყნები ხელიდან უშვებენ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის შანსს.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მეთაურმა სამშაბათს ასევე აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა ჯერ არ აპირებს ნატოში შესვლას. „მე როგორც თავდაცვის მინისტრი ვაცხადებ: ჩვენ ვაგრძელებთ ნატოსთან თანამშრომლობას. იმაზე, რომ აზერბაიჯანი ნატოსკენ ისწრაფვის ან ალიანსში შევა, ჯერ საუბარიც კი არ არის“, — თქვა აბიევმა.

ამჟამად საერთაშორისო შუამდგომლობით მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი ყარაბაღის პრობლემის გადაჭრის მიზნით. კონფლიქტის მოწესრიგებაზე მუშაობენ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები, რომლებიც შეერთებულ შტატებს, რუსეთსა და საფრანგეთს წარმოადგენენ. მიმდინარე წლის სექტემბერში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ყარაბაღის პრობლემის შესახებ მოლაპარაკებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ სომხეთი პოზიციებს შეიცვლის.

# უსამა ბინ ლადენი ევროპელებს განუცხადებს, რომ მათ ომი წააგეს

**ტერორისტული ქსელის პროპაგანდისათვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფის დაჯგუფება „ალ-საჰაბის“ წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ მზადდება „ალ-ყაიდას“ მეთაურის უსამა ბინ ლადენის ახალი მიმართვა ევროპელებისადმი. მოსალოდნელი მიმართვის შესახებ ინფორმაცია „ალ-საჰაბის“ სახელით ისლამისტთა ერთ-ერთ ინტერნეტ საიტზე გამოქვეყნდა, იტყობინება სი-ენ-ენი.**

წინასწარი ინფორმაციით, ბინ ლადენი ევროპის ტერიტორიაზე მყოფ „ჯიჰადის მეომრებს“ მიმართავს მოწოდებით „სახელმწიფოთა მეთაურებს შეაგნებინონ ის ფაქტი, რომ ომი წააგეს“. 2007 წლის აგვისტოს დამლევიდან ეს ტერორისტული დაჯგუფების „ალ-ყაიდას“ მეთაურის უკვე მეექვსე საჯარო მიმართვა იქნება.

„ალ-საჰაბის“ მიმართვაში არაფერია ნათქვამი ბინ ლადენის ჩანაწერის გავრცელების კონკრეტული თარიღის თაობაზე, თუმცა, როგორც წესი, ეს ყველაფერი 72-საათში ხდება. არც იმის შესახებაა ნათქვამი, თუ რა ფორმატით იქნება ჩანაწერი — ვიდეო თუ ხმოვანი.

შეგახსენებთ, რომ ბინ ლადენის უკანასკნელი აუდიომიმართვა — „წერილი ერაყელ ხალხს“ 22 ოქტომბერს გამოქვეყნდა, რის შემდეგაც რადიკალური ისლამისტები კრიტიკით დაატყდნენ თავს ალ-ჯაზირას ტელეარხს, რადგან მიიჩნიეს, რომ ტელეარხმა ტერორისტი ლიდერის განცხადების აზრი დაამახინჯა. ჯიჰადისტები ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე ის, რაც ეთერში გავიდა, ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს მათი სულიერი ლიდერი უკმაყოფილოა ბოევიკების მოქმედებით ერაყში.




# პარიზში ტრაგიკულ ინციდენტს არეულობა მოჰყვა

**პარიზის გარეუბნებში, მეორე თვეა, გრძელდება შეტაკებები პოლიციასა და ახალგაზრდებს შორის, რაც გამოიწვია ტრაგიკულმა ინციდენტმა, როცა ორი ახალგაზრდა მოტოციკლეტით პატრულის მანქანას შეეჯახა და დაიღუპა. არეულობის შედეგად 60-ზე მეტი პოლიციელი დაშავდა, 9 კაცი დაპატიმრებულია.**

ორშაბათს ხელისუფლების განკარგულებით დაიწყო ორი მოზარდის დაღუპვის ფაქტის გამოძიება. პოლიციელები ამტკიცებენ, რომ ისინი დიდი სიჩქარით მოძრაობდნენ და ჩაფხუტები არ ეხურათ.

ხელისუფალთა წარმომადგენლები და ორი თვითმხილველი აცხადებენ, რომ სამართალდამცავებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, თუმცა სხვა თვითმხილველები და დაღუპულთა ნათესავები ამტკიცებენ, რომ ახალგაზრდების დასახმარებლად პოლიციელებს არაფერი გაუკეთებიათ.

არეულობის მონაწილეთა დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა, დაიწვა რამდენიმე ავტომობილი, მათ შორის პოლიციის მანქანა. არსებობს ცნობები, რომ პოლიციელებს ცეცხლსასროლ იარაღს ესვრიან.

ჩინეთში მყოფმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ არეულობის მონაწილეებს სიმშვიდისკენ მოუწოდა.

**სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით თაღლითები ყველაზე მეტად მოქალაქეთა შეჭირვებულ კატეგორიას ეტანებიან. ასეთი კი ოფიციალური ცნობებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 75-80 პროცენტია**



# განცხადება

## სს „ვედიდკარის“ აუქციონის ჩატარების შესახებ

გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქ.კანონის შესაბამისად, გაკოტრების მასის (ქონებისძ რეალიზაციის ფორმისა და წესის შესახებ დებულების საფუძველზე, გამოცხადებული იქნა აუქციონი.

გაკოტრების მმართველის 2007 წლის 16 ნოემბრის №5 ბრძანების საფუძველზე აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ იქნა:

| № | ქონების დასახელება | გამოშვების წელი | საწყისი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | [illegible] | 1988 | 15000 |
| 2 | [illegible] | 1989 | 1730 |
| 3 | [illegible] | 1989 | 2000 |
| 4 | [illegible] | 1990 | [illegible] |
| 5 | [illegible] | 1968 | 3000 |
| 6 | [illegible] | 1970 | 250 |
| 7 | [illegible] | 1967 | 2000 |
| 8 | [illegible] | 1989 | 500 |
| 9 | [illegible] | 1990 | 1000 |
| 10 | [illegible] | 1972 | 1000 |
| 11 | [illegible] | 1968 | 1000 |
| 12 | [illegible] | 1968 | 500 |
| 13 | [illegible] | 1990 | 1200 |
| 14 | [illegible] | 1968 | 1000 |
| 15 | [illegible] | 1976 | 125 |
| 16 | [illegible] | 1987 | 7665 |
| 17 | [illegible] | - | 1730 |
| 18 | [illegible] | - | 5630 |
| 19 | [illegible] | 1990 | 1000 |
| 20 | [illegible] | 1987 | 800 |
| 21 | [illegible] | 1983 | 400 |
| 22 | [illegible] | 1985 | 400 |
| 23 | [illegible] | 1988 | 400 |
| 24 | [illegible] | 1983 | 300 |
| 25 | [illegible] | 1985 | 300 |
| 26 | [illegible] | 1988 | 2000 |
| 27 | [illegible] | 1991 | 2000 |
| 28 | [illegible] | 1988 | 4000 |
| 29 | [illegible] | 1988 | 160 |
| 30 | [illegible] | 1990 | 250 |
| 31 | [illegible] | 1988 | 2000 |
| 32 | [illegible] | 1974 | 200 |
| 33 | [illegible] | 1989 | 100 |
| 34 | [illegible] | 1988 | 30 |
| 35 | [illegible] | 1991 | 30 |
| 36 | [illegible] | 1986 | 20 |
| 37 | [illegible] | 1988 | 20 |
| 38 | [illegible] | 1976 | 20 |
| 39 | [illegible] | 1970 | 120 |
| | ჯამი | | [illegible] |

ქონება მდებარეობს მისამართზე: მარტვილის რ-ნი, სოფ.ვედიდკარი. ყველა დაინტერესებულ პირს დაწვრილებით აუქციონის ჩატარების განაწესის სრულყოფილად გაცნობისათვის შეუძლიათ მიმართონ ს/ს ვედიდკარის გაკოტრების კომისიას შემდეგ მისამართზე: მარტვილის რაიონი, სოფ.ვედიდკარი. ტელ:895-92-13-72.

**საზოგადოება**

# თაღლითები ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებით საქმიანობენ

(მეცხრე გვერდიდან)

თაღლითი გამოდა პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი აკაკი კოზიაშვილი. იგი თანამზრახველებთან (ვინაობა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ სახელდებაძ ერთად, ქუჩაში, საბუთების შემოწმების მიზნით აჩერებდა მოქალაქეებს და ძარცვავდა. მძარცველი „პოლიციელი“ დაკავებულია.

სამი წლის წინათ თაღლითობისათვის გასამართლებულმა ანა ოქროპირიძემ ძველი საქმიანობა არც სასჯელის მოხდის შემდეგ დაივიწყა. მან შეკრიბა 10-კაციანი ჯგუფი. თითოეულს 350 ლარი გამოართვა და დაჰპირდა მიწისძვრით დაზარალებულთა სიაში უკანონოდ შეყვანას, რისთვისაც ყოველი მათგანი ბიუჯეტიდან 10 ათას ლარს მიიღებდა, ოქროპირიძემ დაპირებული ვერ შეასრულა. მოტყუებულებმა იჩივლეს. თაღლითი ქალი დაკავებულია.

**გოჩა ალანია (შსს-ს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის ყოფილი თანამშრომელიძ:** „თაღლითობამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მოიკიდა ფეხი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თაღლითები იმდენად არ აქტიურობენ, რამდენადაც მათი მოსალოდნელი მსხვერპლნი. ყალბისმქნელებმა იმდენად განიმტკიცეს პოზიციები, რომ მათთან დახმარების სათხოვნელად ყველა მისულს აღარ ღებულობენ. ეძებენ 100-პროცენტიან მსხვერპლს. გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილები პირველ ეტაპზე თაღლითებს ისე უყურებენ, როგორც ციდან მოვლენილ მფარველს. ეს განსაკუთრებით საზღვარგარეთ წასვლისა და სამუშაოზე მოწყობის მსურველთ ეხებათ. არავინ კითხულობს „კეთილისმყოფელების“ წარსულს, რამდენად სანდონი არიან ისინი და ა.შ.

სულ სხვაა, როდესაც საქმე ეხება წინასწარ დაგეგმილ, ორმხრივ შეთანხმებულ თაღლითობას. გაყალბებული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომები, ლტოლვილთა, ინვალიდთა, ომის მონაწილეთა, პენსიონერთა საბუთები პირველ რიგში ამ დოკუმენტაციის მიმღებთა, მომავალ მეპატრონეთათვის არის სასარგებლო. მსხვერპლი, დაზარალებული წინასწარი განზრახვით, ახლობლებისა თუ ნაცნობების რჩევა-დარიგებით, შუამდგომლობით აკითხავს გამყალბებელს. სთავაზობს მას ქრთამს, ევაჭრება. არის შემთხვევები, როდესაც შეიძლება გამოყენებული იქნას კანონი ცდუნების მუხლით. მაგრამ რატომღაც დანაშაულის ეს ფორმა ჩვენში მივიწყებულია, სამართალდამცავები მაშინ აგონდებათ, როდესაც ხვდებიან, რომ ისინი აშკარად მოატყუეს. თუ გამყალბებელი არღვევს შეთანხმებას, ორივე მხარე კმაყოფილია და სიყალბეშიც შესაძლებელია არასოდეს არ გახმოვანდეს“.

ალანიას განმარტებით, ბოლო დროს საგრძნობლად იმატა ფულის სესხებასთან დაკავშირებულმა საჩივრებმა. ხდება საინტერესო რამ – ფულის მსესხებელი უარს ვალზე არ აცხადებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ არსად არ მუშაობს და ვალს შესაძლებლობის გაჩენისთანავე გადაიხდის. კანონი არასრულყოფილია – არ არსებობს კონფისკაციის მუხლი. არსებობს იძულებითი დასაქმების მუხლი, რაც დღევანდელ რეალობაში შეუძლებელია. მოვალე თვითონ ითხოვს დასაქმებას, ეძებს სამუშაოს, მაგრამ ვერ პოულობს, აცხადებს ყოფილი პოლიციელი.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით თაღლითები ყველაზე მეტად მოქალაქეთა შეჭირვებულ კატეგორიას ეტანებიან. ასეთი კი ოფიციალური ცნობებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 75-80 პროცენტია. ჩვენი ხელისუფლების მიერ აღებული ეკონომიკური კურსითა და დასაქმების კუთხით გატარებული პოლიტიკით თუ ვიმსჯელებთ, ქვეყნის მოსახლეობა კარგა ხანს ვერ გამოვა სტაგნაციის მდგომარეობიდან. ამის გამო ძნელად წარმოსადგენია თაღლითობის ფაქტებისა და თაღლითების რაოდენობის შემცირება. უფრო მეტიც, ექსპერტთა ვარაუდით, მომავალ 2-3 წელიწადში მოსალოდნელია თაღლითობის არნახული ზრდა.

**ზაზა ბილიხოძე.**

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ძლივს ვიშოვე 120-ლარიანი სამუშაო, რომელზედაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს ვმუშაობ. ხანდახან უფროსი მაინცდამაინც მაშინ მოითხოვს ჩემს სამუშაო ადგილზე ყოფნას, როცა შეთავსებით სამუშაოზე უნდა ვიყო. აქვს უფლება, არ მამუშაოს შეთავსებით?**

**ლალი ხურციძე**



**პასუხი:** დამსაქმებელს უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულებით შეზღუდოს დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მას ძირითადი მოვალეობების შესრულებაში, ან თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**ინფორმაცია**

## თბილისელმა მოსწავლეებმა დიღმელ თანატოლებს ხელი გაუმართეს

**თბილისის პირველმა საჯარო სკოლამ, დიღმის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლისათვის საქველმოქმედო აქცია გამართა.**

**აქციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია დაესწრო.**

**პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თანატოლებს სპექტაკლი წარმოუდგინეს და საგანგებოდ მათთვის მომზადებული საჩუქრები გადასცეს.**

**ღონისძიების ორგანიზატორები არიან ქ. თბილისის პირველი საჯარო სკოლა და შპს „საქართველო-კასტელი“.**

## გამოცდების ეროვნულ ცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად სოსო გოგილიძე დაინიშნა.**

**როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრში განაცხადეს, სოსო გოგილიძე ამ მოვალეობის შემსრულებლად მას შემდეგ დაინიშნა, რაც ყოფილი დირექტორი მაია მიმინოშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად დაამტკიცეს.**

**მათივე ცნობით, სოსო გოგილიძე გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე და მათემატიკის ჯგუფის ხელმძღვანელი იყო.**

## განახლებულ „ნაძალადევს“ „ვარკეთილიც“ შეემატა

**თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ განახლებული მეტროსადგური „ვარკეთილი“ გახსნა.**



**ქალაქის მერი მეტროსადგურ „ვარკეთილთან“ ისანი-სამგორის რაიონის გამგებელ გიორგი ქორქაშვილთან და შპს „თბილისის მეტროს“ ხელმძღვანელ ლევან კოპლატაძესთან ერთად მივიდა. მათ მეტროსადგურის თავზე მოწყობილი სკვერი დაათვალიერეს.**

**გიგი უგულავა მოსახლეობას შეხვდა და მათ საინფორმაციო ფურცლები გადასცა იმის შესახებ, თუ როგორ დაგეგმონ ქალაქის მომავალი ბიუჯეტი მათი სურვილების გათვალისწინებით.**

**ინტერპრესნიუსი**

„ჯორჯია... ჯორჯია“, – ომახიანი შეძახილებისგან ზანზარებდა დარბაზი და მქუხარე ოვაციები წყდებოდა სავსე ტრიბუნებს. რამდენიმე დღის განმავლობაში ოკეანისგაღმელი მასპინძლები აქტიურად ქომაგობდნენ კავკასიის ჯორჯიელებს, რომლებმაც ფიცარნაგზე სასწაულები მოახდინეს. რვა სპორტსმენმა 10 ოქროს მედალი დაიმსახურა და 4 მსოფლიო რეკორდი დაამყარა



## ორბიტაზე

### მძლეოსნობის „ვარსკვლავები“



**მონტე-კარლოში, ტრადიციულ გალა-ცერემონიაზე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, თავისი მფარველის, მონაკოს პრინცის ალბერ მეორის მონაწილეობით, დაასახელა 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენები – კაცთა შორის ეს საპატიო წოდება მოიპოვა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა სპრინტში, ამერიკელმა ტაისონ გეიმ, მან წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ოსაკაში სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ქალთა შორის კი პირველი გახდა ეთიოპიელი მორბენალი მესერეტ დეფარი – წლეულს ორი მსოფლიო რეკორდი რომ განაახლა და მსოფლიო ჩემპიონატიც გახდა. ისინი პრემიის სახით 100 ათას დოლარს მიიღებენ.**

ნომინაციაში „წლის საუკეთესო გამოსვლა“ გაიმარჯვეს იამაიკელმა სპრინტერმა ასაფა პაუელმა. და ხორვატელმა სიმაღლეზე მხტომელმა ბლანკა ვლასიჩმა.

გალა-ცერემონიაზე სხვა ჯილდოებიც გაიცა: „მძლეოსნობის გმირი“ გახდა ცნობილი ამერიკელი მორბენალი და მხტომელი, რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლიუისი, წლის მწვრთნელად გამოაცხადეს უკრაინელი ვიტალი პეტროვი, წლის ახალბედად – სიმაღლეზე მხტომელი დონალდ ტომასი ბაჰამის კუნძულებიდან, წლის ყველაზე აღმაფრთოვანებელ გამოსვლებად კი მიიჩნიეს ბრიტანელი მორბენალი ქალის პოლა რედკლიფისა და ეთიოპიელი ჰაილე გებრესელასიეს გამარჯვებები.

### ბექჰემი რაგბის სწავლობს

**ხორვატეთის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ, ჯვარი რომ დაუსვა ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელთა მონაწილეობას, დევიდ ბექჰემი ამერიკაში, „ლოს-ანჟელეს გელაქსში“ დაბრუნდა და გუნდთან ერთად ავსტრალიაში გაემგზავრა, სადაც სახელოვან მოთამაშეს აღფრთოვანებით ხვდებიან. ორშაბათს ფეხბურთის ვარსკვლავმა იქაური რაგბის ვარსკვლავებთან მეტ გიტოსთან, მარკ გასნერთან და დეილ**



**ტომასთან ერთად ფოტოსესია მოაწყო სიდნეის ყურეში. ბექჰემი თან რაგბის ოვალურ ბურთს უშინაურდებოდა, თანაც მასპინძლებს მრგვალი ბურთის მისეულ დარტყმას ასწავლიდა.**

ავსტრალიიდან ბექჰემი და მისი გუნდი ახალ ზელანდიას ეწვევა.

### დღეს — ჩემპიონთა ლიგაზე

**უეფამ დანიშნა მსაჯები ჩემპიონთა ლიგის მე-5 ტურის დღევანდელი ოთხშაბათის მატჩებზე. აი, ისინიც:**

**„ბეშიქტაში“ – „მარსელი“** – ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთიძ, **„ლივერპული“ – „პორტუ“** – რობერტო როზეტი (იტალიაძ, **„რუსენბორგი“ – „ჩელსი“** – ოლეგარიუ ბენკერენსი (პორტუგალიაძ, **„ვალენსია“ – „შალკე“** – ფრანკ დე ბლეკერე (ბელგიაძ, **„ვერდერი“ – „რეალი“** – პიტერ ვინკი (ჰოლანდიაძ **„ლაციო“ – „ოლიმპიაკოსი“** – ჰოუარდ უები (ინგლისიძ, **„ბენფიკა“ – „მილანი“** – ჰერბერტ ფანდელი (გერმანიაძ, **„სელტიკი“ – „შახტიორი“** – ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთიძ.

## ჩემპიონი

# „ოქროს“ დებიუტი სიმამრმა მიულოცა

**„ჯორჯია... ჯორჯია“, – ომახიანი შეძახილებისგან ზანზარებდა დარბაზი და მქუხარე ოვაციები წყდებოდა სავსე ტრიბუნებს. რამდენიმე დღის განმავლობაში ოკეანისგაღმელი მასპინძლები აქტიურად ქომაგობდნენ კავკასიის ჯორჯიელებს, რომლებმაც ფიცარნაგზე სასწაულები მოახდინეს. რვა სპორტსმენმა 10 ოქროს მედალი დაიმსახურა და 4 მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში (აშშძ ათლეტიზმში მსოფლიო ჩემპიონატზე. ტრიუმფატორთა შორის გახლდათ თბილისელი ნიკა ვეფხვაძე. იგი ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში საპრიზო ადილებისთვის 23 სპორტსმენი იბრძოდა. წოლჭიმში ქართველმა ათლეტმა 165-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა. მსგავსი წონა დაძლია ბრაზილიელმა კასაგრანდამაც, მაგრამ მისი პირადი წონა ჩვენებურისაზე 50 გრამით მეტი აღმოჩნდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ნიკას „ოქროს“ დებიუტი ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა სიმამრმა – ემზარ დიაკონიძემ, რომელიც, რამდენიმე წელიწადია, ამერიკაში მუშაობს და შეჯიბრების დღეებში გვერდიდან არ მოსცილებია სიძეს.

– არანაკლებ დაძაბული გამოდგა პაექრობა ზიცეპსებით წონის აწევაში, – მითხრა ნიკამ. – 98 კილო დავძლიე და



უწინდელი მსოფლიო მიღწევა კილოგრამით გავაუმჯობესე. ცხადია, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.: ასეთ დიდ სარბიელზე პირველად ვცადე ბედი და ერთბაშად ორი „ოქრო“ მოვიპოვე. ამ დიდ წარმატებაში უდიდესი წვლილი ჩემს მწვრთნელებს – საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის პრეზიდენტს ნიკოლოზ სარალიძეს და ეროვნული ნაკრების მთავარ მესაჭეს ზურაბ ჭავჭანიძეს მიუძღვით. რომ არა მათი მდიდარი გამოცდილების გაზიარება და ჩემდამი გამოჩენილი თანადგომა, მწვერვალზე ასვლა გამიჭირდებოდა. ასევე მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ამერიკაში ჩემი მასპინძლები – მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონები ბორის სარალიძე და ვეფხვია ჯმუხაძე, რომლებიც სამშობლოში გამომგზავრებამდე გვერდიდან არ მოგვშორებია. ჩემი სიმამრის გულშემატკივრობამ ხომ, საერთოდ, ფრთები შემასხა.

ნაკრების წევრთა ბრძოლისუნარიანობაზე დადებითად იმანაც იმოქმედა, რომ ასპარეზობის წინა საღამოს სასტუმროში მოგვაკითხა და გაგვამხნევა ცნობილმა სპორტსმენმა ზაზა ფაჩულიამ, რომელთანაც ბავშვობიდან ვმეგობრობ. მე ხომ ყოფილი კალათბურთელი ვარ.

ნიკამ ბოლო წინადადება ერთგვარი გულისტკივილით წარმოთქვა – ნოსტალგია იგრძნობოდა მის სიტყვებში. კალათბურთის გულშემატკივრებს, იმედია, ემახსოვრებათ მისი თამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ნიკა შვიდი წელიწადი იცავდა ამ კოლექტივის ღირსებას და სამჯერ ეროვნული პირველობის ბრინჯაოს მედლებიც დაიმსახურა.

– კალათბურთში ვარჯიში ათი წლისამ დავიწყე ვეფხვია მაისურაძესთან, – იხსენებს ორგზის მსოფლიო ჩემპიონი. – მერე კარგა ხანს ზვიად დიასამიძე მამეცადინებდა „მართვეში“. ნიკო ჩერქეზიშვილმა „დინამო-2“-ში მიმიწვია. ვითამაშე საქართველოს კადეტთა ნაკრებში, რომელსაც ნიაზ დანელია და ვაჟა ჭოტაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მაშინ გუნდში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ვლადიმერ ბოისა, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი გაგნიძე, ზვიად ბაბიაშვილი, ირაკლი ნიჟარაძე... ევროპის პირველობის სამი შესარჩევი ეტაპი წარმატებით გავიარეთ. ფინალურ ორთაბრძოლებს 1997 წელს ბელგიამ უმასპინძლა. საბოლოოდ მე-6 ადგილზე გავედით. სამაგიეროდ, მომდევნო წელს ვაჟა მხეიძისა და ზაზა ცაგარეიშვილის მეთაურობით ერთი საფეხურით დავწინაურდით მოსკოვში ახალგაზრდების მსოფლიო ფესტივალზე. რომ არა პოლონელებთან ერთქულიანი მარცხი, საპრიზო ოთხეულში მოვხდებოდით. არადა, ერთ მომენტში მეტოქეს 15 ქულითაც ვუგებდით.

რუსეთის დედაქალაქიდან დაბრუნების შემდეგ ბატონმა ნუგზარ მარკოიშვილმა თსუ-ს გუნდში მიმიწვია, რადგან იმ წელიწადს უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი.

**– ასეთმა წარმატებულმა კალათბურთელმა პროფილი რატომ შეიცვალე?**

– ჩემს პროფესიას რაც უფრო ვუღრმავდებოდი, მით უფრო ვგრძნობდი ფიზიკური მომზადების აუცილებლობას, ამიტომ პარალელურად უნივერსიტეტის ათლეტიზმის კლუბში დავიწყე ვარჯიში ნიკოლოზ სარალიძისა და ზურაბ ჭავჭანიძის მეთვალყურეობით. განვლილ რვა წელიწადში მივხვდი, რომ კალათბურთში ჩემი შესაძლებლობები, ფაქტობრივად, ამოვწურე, ათელტიზმში კი ახლა მეხსნება ჰორიზონტები საერთაშორისო სარბიელზე. ატლანტაში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა დამარწმუნა, რომ არჩევანში არ შემცდარვარ.

**– სამერმისოდ რას აპირებ?**

– გაისად რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება გაიმართება. თებერვალში ფლორიდა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლებს, არნოლდ შვარცენეგერის ინიციატივით კი დიდი საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა სახელწოდებით – „არნოლდფესტივალი“, რომელშიც საუკეთესო ათლეტებს მიიწვევენ, აგვისტოში ევროპის ჩემპიონატი მოეწყობა, 12 დეკემბერს კი ამერიკაში კვლავ პლანეტის უძლიერესი ათლეტები შეიკრიბებიან. როგორც ხედავთ, გრაფიკი დატვირთულია. სათანადო დაფინანსება თუ იქნება, ყველა ტურნირზე სიამოვნებით ვიასპარეზებ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: უტევს ნიკა ვეფხვაძე; ატლანტაში გამარჯვება სიმამრმაც მიულოცა.**

## დარბაზბურთი

# ესპანური „ჰეთ-თრიკი“

**პორტუგალიაში დასრულებული ევროპის ჩემპიონატი ესპანელთა ტრიუმფად იქცა – პირენეელებმა მესამედ მოიპოვეს კონტინენტის პირველობის „ოქრო“. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ გამარჯვებულთა ახალი მწვრთნელის ხოსე ვენანსიოს პირველი მიღწევა, რომელმაც ღირსეულად ჩაიბარა ესტაფეტა ლეგენდარულ წინამორბედ ხავიერ ლოსანოსგან, რომელიც ამჟამად მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორის ამპლუაში იღვწის.**

ესპანელებს განსაკუთრებული პრობლემები ნახევარფინალში მასპინძლებმა შეუქმნეს, როცა 2:0 დაწინაურდნენ. ფავორიტმა ლუის ამადუს, კიკეს, მარსელოს, ალვაროს, დანიელისა და ხავი როდრიგესის დიდი ძალისხმევით გაათანაბრა ანგარიში – 2:2 და პენალტების სერიაში იმძლავრა, ხოლო ფინალში იტალიელებს სძლია – 3:1. მესამე პრიზიორი რუსეთის გუნდი გახდა.




## ჩვენებური

# კანკავას აღიარება



**უკვე გაუწყეთ, რომ უკრაინის ჩემპიონატის XVII ტურში „დნეპრომ“ ჯაბა კანკავას გოლით „ხარკოვს 1:0 სძლია“, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილამდე აღზევდა და გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „შახტარს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.**

სასიამოვნოა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი თანდათან ამბიციური მწვრთნელის ოლეგ პროტასოვის ასევე ამბიციური კლუბის შეუცვლელ ფიგურად ყალიბდება. სხვათა შორის, მისი ოსტატობა და ბრძოლისუნარიანობა უკრაინელმა ჟურნალისტებმაც დააფასეს და ჩვენი თანამემამულე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# ბუნება მბრძანებელია...

**● მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ხასიათი, მისი ბუნება შეიძლება დავახასიათოთ იმ ყვავილების მიხედვით, რომელიც მათ მოსწონთ**



### ◉ არის წინადადება!

## ყვავილების საათი? რატომაც არა!

**„ყვავილის უბრალო შეხებაც კი იწვევს ცაზე ვარსკვლავების შეშფოთებასო“, წერდა მისტიკოსი პოეტი ფრენსის ტომსონი. დიახ ციური სხეულების მოძრაობასა და დედამიწაზე არსებულ ბიოლოგიურ სამყაროს შორის უხილავი, მჭიდრო და ღრმა ურთიერთკავშირი არსებობს. ცოცხალი ორგანიზმები კოსმოსიდან არა მარტო სინათლესა და სითბოს იღებენ, არამედ სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით ზუსტად აღიქვამენ მზის მდებარეობას, პლანეტების მდებარეობას თუ მთვარის ფაზებს.**

მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს ბევრი წარმომადგენელი მრავლდება და იზრდება იმ რიტმების შესაბამისად, რომელიც განპირობებულია დღეღამის ხანგრძლივობით, სეზონური წელიწადის დროთა ცვალებადობით. ზოგიერთი მათგანი აქტიურია დღისით, ზოგი კი პირიქით ღამით. დღეღამური ციკლი აქვთ როგორც ხმელეთის, ასევე წყლის ბინადართ. მილიარდობით ზოოპლანქტონი ყოველდღიურად ასრულებს ვერტიკალურ მიგრაციას ჩვენი პლანეტის ზღვებსა და ოკეანეებში. განსაკუთრებულად დიდ ზეგავლენას ახდენს მთვარე.



ცნობილია, რომ მაგალითად სავსემთვარეობისას მოჭარბებულად აღგზნებულნი არიან ადამიანები, ასეთივე დამოკიდებულებაა წყლის მიმოქცევასა და მთვარის ფაზებს შორის. წყლის მიმოქცევის ეს რითმები კარგადაა ცნობილი მეთევზეებისათვის და მას უხსოვარ დროიდან თევზჭერის დროს იყენებდნენ.

გარემოს ასეთი ტიპის ზემოქმედებებს, რომლებიც განპირობებულია კვების, გამრავლების თუ ძილ-ღვიძილის პერიოდულ აქტივობაზე, მეცნიერებმა უწოდეს ბიოლოგიური საათები.

ორგანიზმები, რომელთაც ასეთი შინაგანი საათები აქვთ კიდევ ერთ უპირატესობას ფლობენ – ისინი წინასწარ „გრძნობენ“ ამ რეგულარულად განმეორებადი მოვლენების დადგომის დროს და შესაბამისად ემზადებიან მომავალი ცვლილებისათვის. მაგალითად, ფუტკრებს შინაგანი საათი ეხმარება იმ ყვავილთან მივიდნენ, რომელთანაც წინა დღეს იყვნენ და სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ფურცლები გაშლილია (აქვე გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართულ ფუტკარს მეტი ყურადღება და პატივისცემა სჭირდება. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ქართული ფუტკრის მუზეუმი, დაწესდება წელიწადში ერთხელ ფუტკრის კვირეული. გამოვუშვებთ სამკერდე ნიშნებს მისი გამოსახულებით, ჩამოვაყალიბებთ სკოლებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში მის გულშემატკივართა, ქომაგთა წრეებსა თუ კლუბებს დიახ, ღირსეულთ ღირსეული დაფასება სჭირდებათ). ასეთი მექანიზმი აქვთ ყვავილებსაც. თითოეული სახეობის ყვავილი ზუსტად ერთიდაიგივე დროს იძინებს და იღვიძებს, შესაბამისად შლის და ხურავს ყვავილის ფურცლებს. ბიოლოგიური საათის რითმებს ემორჩილება ადამიანის ორგანიზმი თვით ძილის პროცესშიც. მაგალითად, ტვინის ელექტროაქტივობა ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო ყოველ 90 წუთში იცვლება.

ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობდა ციკლური მონაცვლეობის ეს თვისებები თავისი პრაქტიკული მიზნებისთვის გამოეყენებინა. მაგალითად დროის განსაზღვრისათვის მზის, წყლის თუ ქვიშის საათებთან ერთად არანაკლებ გავრცელებული იყო ყვავილების საათი. მდიდარ რომაელ პატრიცებს სასახლეებში გაშენებული ჰქონდათ ყვავილნარები, რომელთა საშუალებითაც ისინი ზუსტად იგებდნენ შესაბამის დროს.

აქვე დავძენთ, რომ წელს მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა უდიდესი შვედი ბოტანიკოსის კარლ ლინეის დაბადებიდან 300 წლისთავი (1707-1778 წ. წ.ძ მასზე ამბობდნენ „ღმერთმა შექმნა სამყარო, ლინეიმ კი მისი კლასიფიცირება მოახდინაო“.

გამოჩენილმა შვედმა ნატურალისტმა კარლ ლინეიმ მე-18 საუკუნეში შვედეთის საუნივერსიტეტო ქალაქ უპსალაში დაარსა ბოტანიკური ბაღი, სადაც გააშენა ყვავილების საათი. ნყვავილნარი მალე იქცა ქალაქის ერთ ერთ ულამაზეს და ღირსშესანიშნავ ადგილად.

თუ კი ეს შესაძლებელი გახდა ჩრდილოეთს ქვეყანაში, მით უმეტეს დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს მისი გაშენება ჩვენს მზიურ დედაქალაქში. ნიკო კეცხოველი ხშირად აღნიშნავდა, რომ საქართველოში ყვავილების 5000-მდე სახეობაა გავრცელებული, მაშინ როცა უკიდეგანო რუსეთის ველ-მინდვრებზე – მხოლოდ 2000. ასე რომ, ტყუილად არ ეძახიან საქართველოს ყვავილების ქვეყანას. დიახაც რომ დაამშვენებს ყვავილების სამშობლოს ყვავილების საათი. მით უმეტეს რომ ეს დიდ კაპიტალდაბანდებებთან არ არის დაკავშირებული და რთულ პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. სხვათა შორის, პარიზში ლე დეფანსის კვარტალში დაახლოებით 1000 მ$^2$. ფართობზე გააშენეს ვენახი, რათა თანამედროვე ქალაქის ურბანისტულ პეიზაჟს მიეცეს სოფლური რომანტიკული იერი. ძირითადად 700-მდე ძირი პინო ნუარისა და შარდენეს ჯიშის ვაზი. აკრძალულია ყოველგვარი ქიმიკატებისა და ქიმიური სასუქის გამოყენება. ბეტონის საფარს დააყარეს 80 სმ-ის სისქის მიწა. დრენაჟისათვის ბეტონში ჩაამონტაჟეს ვულკანური ქვა, რომელიც კარგად ატარებს ტენს. ვაზთან ერთად დარგეს წყლის მოყვარული მცენარეები, რათა არ მოხდეს წყლის ნიადაგში დაგროვება. პარიზში გაშენებული ვენახიდან დაწურული ღვინის ერთი ბოთლი ღირს მინიმუმ 45 ევრო. მისგან დაახლოებით 400 ლ ბოთლი ღვინის მიღებას ვარაუდობენ. ამონაგები მთლიანად მოხმარდება ქალაქის კეთილმოწყობას. აღსანიშნავია, რომ ეს ქალაქის საზღვრებში გაშენებული რიგით მეხუთე ვენახია.

თბილისელებსაც არ გვაწყენდა რთველი შუაგულ ქალაქში, მით უმეტეს რომ ვაზის ფანჩატურები და ხეივნები თბილისის ტრადიციული არქიტექტურული დეტალია და წლების განმავლობაში ქალაქის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. მართლაც, „შენ ხარ ვენახის“, „სვეტიცხოვლისა“, ვაზის ჯვარისა და ღვინის სამშობლოს დედაქალაქს აუცილებლად სჭირდება ბაღ-ვენახების ხეივნები, ვაზის ფანჩატურებიანი შენობები თუ ყვავილების პლანტაციები. უპირველეს ყოვლისა კი თბილისელებს გვჭირდება რთველი შუაგულ ქალაქში და ყვავილების საათი ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე.

ჯერი თქვენზეა ქალაქის მესვეურებო!

**მედეა თავდიშვილი**

**P. S. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ხასიათი, მისი ბუნება შეიძლება დავახასიათოთ იმ ყვავილების მიხედვით, რომელიც მათ მოსწონთ. მაგალითად, კაქტუსების მოყვარულები გამოირჩევიან გესლიანი ენით. ისინი დიდად აფასებენ გონიერებას და სიბრძნეს და არიან მებრძოლი სულის ადამიანები. ვარდებისა და იორდასალამს (პიონებსძ უპირატესობას ანიჭებენ ეჭვიანობითა და დიდი ვნებებით დაჯილდოებული ადამიანები. იმ ადამიანებს კი, რომლებიც გაურბიან სიყვარულს და ცხოვრების ეშინიათ, ნაკლებად იზიდავთ ეს ყვავილები. მიხაკის მოყვარულთა უმეტესობა დარწმუნებულია, რომ ისინი სამყაროს ცენტრს წარმოადგენენ, არიან დიდი ფანტაზიორები და სიყვარულსა და გრძნობების გამოხატვაში არ უყვართ მკაცრი ჩარჩოების დაცვა. ზამბახის, გლადიოლუსებისა და საერთოდ მაღალი ღეროების მქონე ყვავილები უყვართ დიდბუნებოვან, იმპულსურ და თავისუფალ ადამიანებს. ისინი ღრმად აღიქვამენ ბუნებას. იები და თვალჟუჟუნა მოსწონთ ერთი შეხედვით თავშეკავებულ ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში ძლიერ მგრძნობიარენი არიან. იასამანს ირჩევენ მხიარული, გაწონასწორებული ხასიათისანი, რომლებიც დიდი სასიცოცხლო ენერგიით გამოირჩევიან. ყაყაჩოების მოყვარულთა უმეტესობა ორიგინალური და ძლიერი ვნებებით სავსენი არიან. მინდვრის ყვავილებს – შროშანს, ღიღილოს თუ გვირილას უპირატესობას ანიჭებენ მშვიდი, სენტიმენტალური ბუნების ადამიანები. ვისაც მოსწონს უცნაური ეგზოტიკური მცენარეები და ყვავილები (მაგალითად ორქიდეას მსგავსიძ მგზნებარე წარმოსახვის უნარი, ფიცხი და ჭირვეული ხასიათი აქვს. ხელოვნური ყვავილების სიყვარული იმის ნიშანია, რომ ცხოვრებამ თქვენ წვრილმანი გაგხადათ და ეგოცენტრიზმი ნაღველი და აპატია შემოგეპარათ. უსუნო ყვავილებისადმი მიდრეკილება გააჩნიათ თურმე სუსტ და ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. ძლიერი და მძაფრი სუნის მოყვარულნი კი უხეში და მიკერძოებული მიდრეკილების ადამიანები არიან. სხვადასხვა სახეობის ყვავილების მიმართ სიყვარულის ხშირი ცვალებადობა მაღალი ადაპტაციის უნარისა და ჰარმონიულობის მიმანიშნებელია.**

**მ. თ.**

### ◉ ინფორმაცია

## გამომგონებელმა ადამიანის თმისგან სკამი შექმნა

**სილამაზის სალონების კლიენტებს, შეიძლება უახლოეს მომავალში შესთავაზონ არასტანდარტულ სკამზე დაჯდომა... რომელიც გაკეთებული იქნება ადამიანის თმებისგან. ყოველ შემთხვევაში, ამის მაგალითი უკვე არის.**

ყოფილმა ლონდონელმა დალაქმა რონალდ ტომსონმა, რომელიც ამჟამად ლონდონის London South Bank University-ს თანამშრომელია, მოძებნა ახალი მეთოდი თუ სად წაელო ადამიანის თმები შეჭრის შემდეგ. მას თავში მოუვიდა გაეკეთებინა თმის სკამი.

„ეს იქნება ხელმისაწვდომი, მოსახერხებელი და დიდი რესურსების მქონე. საგნები, რომლებიც თმებისგან გაკეთდება შეიძლება მივცეთ ნებისმიერი ფორმა, – ამბობს გამომგონებელი, თმები დრეკადია, არ ეშინიათ კოროზიის... ამასთან, თმებისგან გაკეთებული საგნები, არის გამძლე.“

რონალდ ტომსონის თქმით, ერთ თმას შეულია გაუძლოს საკუთარ წონაზე 8 750-ჯერ მეტ წონას. ხოლო თავზე ყველა თმას შეუძლია გაუძლოს 13 ტონას. ვიდრე გაწყდება, თმას შეუძლია გაიწელოს 2-ჯერ.

სავარძლის გაკეთებისთვის ყოფილ დალაქს დასჭირდა 2 კილო ადამიანის თმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი შეკრეჭის შემდეგ, შეჭრილი თმის წონა დაახლოებით 5 გრამია, და ითვლება, რომ ადამიანი 6 თვეში ერთხელ იჭრის თმას. გამოდის, რომ ერთი ადამიანის თმისგან ერთი სკამის გაკეთება შეიძლება 46 წელიწადში ერთხელ.

თუმცა, როგორც დალაქი ირწმუნება, თუ შევაჯამებთ ყველა იმ ადამიანის შეჭრილ თმას სილამაზის სალონებში, მაშინ ამგვარი სკამების გაკეთება არ მოგვეჩვენება ასეთ ხანგრძლივ პროცესად. Discovery-ს ინფორმაციით, დიდ ბრიტანეთში იკრიჭება დაახლოებით 220 ათასი ტონა თმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით კი მილიონობით ტონა.

სკამი, რომელიც რონალდ ტომსონმა ბრინჯაოთი მოაპირკეთა ღირს დაახლოებით 15 ათასი დოლარი. თუმცა, ენთუზიასტი მზადაა უფრო ძვირფასი მოდელების დასამზადებლად.

## თვალის პროთეზსს უხსოვარი დროიდან აკეთებდნენ

**არქეოლოგებმა გათხრებისას აღმოაჩინეს, ახალგაზრდა ქალის ჩონჩხი, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე 4,8 ათასი წლის წინათ. მას არ აქვს ცალი თვალი, თვალის ნაცვლად ჩადგმული ჰქონდა საგანი, რომელიც თვალის იმიტაცია გახლდათ.**



ნარჩენები აღმოჩენილია ირანის სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ რაიონში. ეს აღმოჩენა ამტკიცებს, რომ იმ უძველეს დროშიც კი არსებობდა პრაქტიკა, რომ დაკარგული თვალი შეეცვალათ ხელოვნურით. მაგალითად, ძველ ებრაულ ტექსტებში ნახსენებია, ქალი, რომელსაც ოქროს თვალი ჰქონდა გაკეთებული, და ძლიერ ჰგავდა ნამდვილს. მეცნიერთა თქმით, მან ვინც ეს თვალი გააკეთა, იხმარა ოქროს ძაფები, რომლის სისქე მილიმეტრს არ აღემატებოდა, რათა მიეღოთ აკურატული თვალის კაპილარები. პარალელური ხაზები იყო შემოვლებული თვალის გარშემოც, იტყობინება Discovery. ნარჩენები აღმოჩენილია უძველეს სასაფლაოზე. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ქალი დაახლოებით 25-30 წლის იქნებოდა. სხვა ნივთებთან ერთად, საფლავში აღმოჩენილია აგრეთვე ტყავის ტომარა და ბრინჯაოს სარკე.

**მოამზადა ოლღა ცისკარიშვილმა**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

● ამას წინათ გალერეა „უნივერსის“ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დაფუძნების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის დროსაც შედგა ასოციაციის მიერ გამოცემული წიგნის „იამზე ციხის ნაშალოს“ წარდგენა



◎ საღამო

# საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის

**ამას წინათ გალერეა „უნივერსის“ დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დაფუძნების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის დროსაც შედგა ასოციაციის მიერ გამოცემული წიგნის „იამზე ციხის ნაშალოს“ წარდგენა.**

ასოციაციის თავმჯდომარემ **მაია კვეზერელი-კოპაძემ** მოკლედ ისაუბრა ორგანიზაციის დაარსებიდან განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. 1992 წლის 14 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ქალთა და მათ თანამოაზრეთა თაოსნობით დაფუძნდა საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“. მისი მიზანი იყო თავისი წვლილი შეეტანა ქვეყანაში მშვიდობის დამყარებასა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ეზრუნა კონფლიქტების ზონაში დაზარალებულ დედებსა და ბავშვებზე, აქტიურად ჩაბმულიყო საქველმოქმედო საქმიანობაში. დაარსებიდან საზოგადოებას (შემდგომში ასოციაციას) გარდაცვალებამდე სათავეში ედგა ქალბატონი ნანული შევარდნაძე. მასში გაერთიანდნენ ღირსეული და ცნობილი ქალბატონები, რომლებიც უანგაროდ ეხმარებოდნენ გაჭირვებულ თანამემამულეებს.

ქალბატონ მაია კვეზერელი-კოპაძეს კონკრეტულ ფაქტებზე არ უსაუბრია, რადგანაც საგანგებოდ წარმოდგენილ მცირემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმში „მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ მთელი სისავსით იყო ყოველივე ასახული. ერთმანეთს ენაცვლებოდა ქვეყნის ქალაქებსა თუ სოფლებში მოსახლეობის დასახმარებლად სხვადასხვა ფორმით გაწეული საქველმოქმედო საქმიანობის – სითბოსა და ყურადღებას დანატრებული მოხუცების, ობოლ და მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა, გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებისადმი გამოჩენილი სითბოსა და სიყვარულის, დახმარებისა და თანადგომის ამსახველი მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი კადრები.

ასოციაცია საგამომცემლო საქმიანობასაც ეწევა. გამოსცა რამდენიმე წიგნი, ბროშურა, ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი კრებული. პირველი წიგნი „ჩიტი ღობეზე შემოჯდა“ მკითხველმა გულთბილად მიიღო. მომდევნო წიგნი „იამზე ციხის ნაშალო“... საქართველოს ციხე-ტაძრებსა, ჯვარ-ხატებსა და სალოცავებზე ლეგენდებს, თქმულებებს და გადმოცემებს მოიცავს.

კურთხევაზე წარმოდგენილ წიგნს „იამზე ციხის ნაშალო“ გამომსვლელებმა მაღალი შეფასება მისცეს (წიგნის შემდგენელ-რედაქტორები არიან ზაირა სხირტლაძე და რუსუდან დარჩიაშვილი, რედაქტორია ამირან არაბული, მხატვარი – თენგიზ მირზაშვილიძ.

სიტყვები წარმოთქვეს ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნელი გურგენიძემ, ილუმენა ადამმა – წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და სხვ.

გაწეული თავდადებული მუშაობისათვის ასოციაციის ხელმძღვანელობის მადლობის ბარათები გადაეცათ წევრ ქალბატონებს. მოხდა ერთი სასიამოვნო ფაქტიც: წვეულმა ბანკირებმა და ბიზნესმენებმა დიდი რაოდენობით შეიძინეს წიგნი „იამზე ციხის ნაშალო“... და საჩუქრად გადასცეს ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

**ბელა ლომთაძე**

◎ ინფორმაცია

## კუბიშს „იმედის“ გახსნის იმედი აქვს



**ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის განახლება იქნება ერთ-ერთი ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად ჯანსაღი მდგომარეობაა საქართველოში წინასაარჩევნოდ.**

ამის თაობაზე გუშინ განცხადება საქართველოში ვიზიტით მყოფმა სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ იან კუბიშმა გააკეთა. იგი თავის კოლეგას გელა ბეჟუაშვილს სამინისტროში შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ იან კუბიშმა იმედი გამოთქვა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ საკითხი გადაწყდება.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წინასაარჩევნოდ და არჩევნების პროცესში მედიამ თავისუფლად იმოქმედოს, არ არსებობდეს არანაირი შეზღუდვა და მედიის საშუალებებს შეუფერხებლად მუშაობის საშუალება მიეცეთ“, – აღნიშნა სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

იან კუბიშის განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მიეცემათ პრეზიდენტობის კანდიდატებს საშუალება, თავისუფლად ჩაატარონ საარჩევნო კამპანია.

მისივე თქმით, საერთაშორისო თანამეგობრობა დააკვირდება არჩევნების ხარისხს.

## ლეიბორისტები მთავრობისგან პასუხს ელიან

**„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ ხელისუფლებასა და ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს სპეციალურ მიმართვას უგზავნის.**

მიმართვის ტექსტი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იოსებ შატბერაშვილმა წაიკითხა.

როგორც მიმართვაშია ნათქვამი, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს ხელმძღვანელობას სურვილი აქვს, ლეიბორისტული პარტიის ლიდერებს ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობაზე საკონსულტაციოდ შეხვდეს.

მისივე თქმით, ვინაიდან მსოფლიოში ჯერარნახული, სააკაშვილისეული შეხედულებებით მსგავსი შეხვედრები ჯაშუშობად და სახელმწიფო გადატრიალებად ითვლება, ჩვენ გვაქვს შეკითხვები სააკაშვილთან, ნინო ბურჯანაძესთან, გიგა ბოკერიასთან, ვანო მერაბიშვილთან და გივი თარგამაძესთან.

– პირველი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, არის თუ არა რუსეთის საელჩოში რომელიმე დიპლომატი, იმავდროულად რუსეთის რომელიმე სპეცსამსახურის აგენტი, რეზიდენტი და წარმომადგენელი?. მეორე კითხვა არის ის, თუ რატომ არ აძევებენ ამ დიპლომატებს საქართველოდან და რას ელოდებიან? მესამე შეკითხვა კი ასეთია, თუ არ არიან ეს დიპლომატები სპეცსამსახურის მუშაკები, ჩვენი შეხვედრის შემდგომ ხომ არ მოინათლებიან ასეთებად და შევხვდეთ თუ არა და ვესაუბროთ თუ არა მათ, – განაცხადა შატბერაშვილმა.

კითხვებზე პასუხს „ლეიბორისტული პარტია“ 24 საათის განმავლობაში ელოდება.

## უშიშროების საბჭოს სხდომები ყოველ კვირას გაიმართება

**წინასაარჩევნო პერიოდის გამო, უშიშროების საბჭოს სხდომები ყოველ კვირას გაიმართება.**

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ გუშინ, პარლამენტის საპრეზიდენტო ფლიგელში გამართული უშიშროების საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა.

პრემიერის თქმით, სხდომებზე ქვეყნისთვის ყველა შესაძლო გამოწვევას განიხილავენ და რეაგირების გარკვეულ სცენარებს შეიმუშავებენ.

უშიშროების საბჭოში ყოველკვირეულ შეხვედრებს გურგენიძე ჯანსაღ პრაქტიკად მიიჩნევს.

## „აუცილებლად დავაპატიმრებთ“...

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდალი სერგეი ჩაბანი დაკავებული იქნება, თუ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოჩნდება.**

ასეთი განცხადება გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ თავის კოლეგასთან, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან იან კუბიჩთან შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, სერგეი ჩაბანი საქართველოსთვის მიუღებელ პერსონად რჩება, ვიდრე ის საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებს.

გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისთვის უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ, თუმცა, ქართველი მინისტრის განცხადებით, ეს არ არის თავდაცვის მინისტრების კომპეტენცია. აღნიშნული საკითხი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს უნდა განეხილა.

გელა ბეჟუაშვილის განმარტებით, საქართველო დსთ-ს თავდაცვის მინისტრების საბჭოში არ მონაწილეობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას არანაირი სამართლებრივი ეფექტი და საფუძველი არ გააჩნია.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## დახრჩობას გადაარჩინეს

**ოპერაციების მართვის სამმართველოს ბათუმის ბაზამ მიიღო ინფორმაცია, რომ გონიოს საზღვაო რაიონში 2 ადამიანი იხრჩობოდა. წინასწარი ინფორმაციით, მამა-შვილი საშა და სერგო ბლუჟნიკოვები ზღვაში სათევზაოდ იყვნენ გასულები. ამინდის გაუარესების გამო, ისინი ზღვის დინებამ გაიტაცა.**

მათ გადასარჩენად ზღვაში სანაპირო დაცვის საპატრულო კატარღები გავიდნენ. ძებნა-გადარჩენის ოპერაცია წარმატებით დასრულდა. მესაზღვრეებმა ორივე პირი გადაარჩინეს. ოპერაციაში მონაწილე პირებს დაზიანება არ მიუღიათ.

## ხორხელებს ელექტროენერგია აღუდგათ

**დუშეთის რაიონის ხორხის ხეობის მოსახლეობას 3-წლიანი უშუქობის შემდეგ, ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. 2004 წელს გაიძარცვული ელგადამცემი ხაზები „ენერგოპრო ჯორჯიამ“ აღადგინა, რის შედეგადაც ხეობაში მცხოვრები 88 აბონენტი ამიერიდან დენს უპრობლემოდ მიიღებს.**

პროექტის განხორციელება დაკავშირებული იყო მძიმე ბუნებრივ და კლიმატურ პირობებთან რეგიონის რელიეფური სირთულის გათვალისწინებით.

ხორხის მაღალმთიანი ხეობა მთიულეთსა და ფშავის არაგვს შორისაა მოქცეული, ის 10 კილომეტრი სიგრძისაა და მოიცავს შემდეგ სოფლებს: აკვანი, ლაუშა, ბანკურთკარი, სონდისველი, მენესო, ზემო ხორხი, ქვემო ხორხი.

## სატელეფონო ნუმერაცია ევროპულ სტანდარტებზე

**მომავალი წლიდან საქართველო სატელეფონო ნუმერაციის ევროპულ სისტემაზე გადადის. აბონენტებს საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და მობილური ზარების განხორციელებისას რვიანი ინდექსის ნაცვლად, ნულიანის აკრეფა მოუწევთ.**

ცვლილება შეეხება თბილისის სატელეფონო სისტემასაც, რომლის მიხედვით, 6-ციფრიანი ნომრების ნაცვლად 7-ციფრიანი გახდება.

რაც შეეხება მობილურ კავშირგაბმულობას, ცვლილების მიხედვით, ინდექსები 99 ან 77, რომლითაც ამჟამად ოპერატორის იდენტიფიკაცია ხდება, სატელეფონო ნომრის ნაწილი გახდება, 8-იან კოდს კი 6-იანი შეცვლის.



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, კავშირგაბმულობის უმაღლესი წოდების – „კავშირგაბმულობის ოსტატის“ მფლობელი და სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, საზოგადოების აქტიური წევრი და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელი, ათეული წლების მანძილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი**

**ვაჟა მიხეილის ძე კეკელია**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

№ 233. ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● ისტორიის სუნთქვა იგრძნობა სენაკის სამხატვრო გალერეაში ამას წინათ გახსნილ გამოფენაზე, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრების 30 და ზემო თეკლათის დედათა მონასტრის დაარსების 140 წლისთავს მიეძღვნა



**სულიერება**

## 28 ნოემბერი — შობის მარხვის დასაწყისი



**27 ნოემბერს, სწორედ შობის მარხვის წინა დღეს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიამაც გაიხსენა მოციქული ფილიპე.**

იგი გალილეის ქალაქ ბეთსაიდში დაიბადა. ის დიდად განსწავლული იყო წმიდა წერილში, სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებათა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა. ის პირველი მოწოდებისთანავე გაჰყვა მაცხოვარს.

...ფილიპე მოციქული იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას. მის სწავლებას სასწაულები ახლდა თან. ფილიპემ მოიარა საბერძნეთი, პართია, იერაპოლი (სირიაში), ლიბია. მას ყველგან სატანჯველის დათმენა უწევდა. ფილიპემ ფრიგიაში, ქალაქ იერაპოლში, წამებით დაამთავრა სიცოცხლე. იგი ჯვარზე თავდაღმა გაკრული აღესრულა.

საგულისხმოა, რომ ცნობები შობის მარხვის შესახებ IV საუკუნიდან გვხვდება. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცნობას ვხვდებით. ფრიად საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

**გიული ლიპარტია**

**გამოფენა**

## ქართული სიძველეები სენაკის გალერეაში

**ისტორიის სუნთქვა იგრძნობა სენაკის სამხატვრო გალერეაში ამას წინათ გახსნილ გამოფენაზე, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრების 30 და ზემო თეკლათის დედათა მონასტრის დაარსების 140 წლისთავს მიეძღვნა.**

**ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გვესაუბრება გამოფენის ავტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი პაატა ქურდოვანიძე:**



**— ბატონო პაატა, რა დროიდან დაიწყეთ მუშაობა ამ საინტერესო მასალების შესაგროვებლად, სად დაივანებს საბოლოოდ აქ წარმოდგენილი ექსპონატები?**

— გამოფენის მოწყობა ჩემი დიდი ხნის წინანდელი ჩანაფიქრის, ძიებისა და შრომის პირველი მონაკვეთის დასასრულია. ზემო თეკლათის დედათა მონასტრის ცხოვრების ამსახველი გამოფენა შესაძლებლობის ფარგლებში წარმოგვიდგენს აქ მოღვაწე ბერმონაზონთა და ეპისკოპოსთა საქმიანობას, ჩვენი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან 40-წლოვან ეტაპს.



ქართული სიძველეები მოსწავლეობის დროიდან მაინტერესებდა. მსურდა მათი მოპოვებით გამეცოცხლებინა ისტორიის სუნთქვა. დღევანდლამდე რისი მოპოვებაც შევძელი, ჩემს არქივში მოვუყარე თავი. იგი დღეს 3000-მდე ერთეულს მოიცავს. ვაგროვებდი ძირითადად ფოტოსურათებს, ხელნაწერებს, წიგნებს და სხვა მასალებს, როგორც ჩვენი ქვეყნის საერო, ასევე სულიერი ცხოვრებიდან...

**— ბატონო პაატა, ამ საქმის წამოწყების მნიშვნელოვანი სტიმული როგორც ცნობილია, ალბათ, ისიც იყო, რომ თქვენი წინაპარი ელეონორა დადიანი ზემო თეკლათის დედათა მონასტრის ილუმენია გახლდათ.**

— უნდა აღვნიშნო, რომ გარკვეულწილად ასეცაა. ჩემს დედას, ნინო დადიანს შინ წინაპართა რამდენიმე საინტერესო ფოტოსურათი, ხელნაწერი და დედამისის ალბომი ჰქონდა. დედის ბაბუა გრიშა ბატონიშვილი იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ძმისშვილი. მათი სურათების თავმოყრით, სოფელ-სოფელ დოკუმენტების შეგროვებით დავიწყე ძიება წარსულში, ვაგროვებდი იმდროინდელი თავადაზნაურობის, სამღვდელოების, გლეხების, ვაჭარ-ხელოსნების, ისტორიული ხედების და სხვა სახის ფოტოებს, რაც ათწლეულობით გრძელდებოდა და მიიღო 150-წლოვანი პერიოდის, მთელი ეპოქის დოკუმენტური სახე. მათ შორის ჩემთვის ძვირფასი, ბავშვობიდან სათაყვანებელი თემა ზემო თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიაა, რომლის წიგნად გამოცემაზე დიდი ხანია ვმუშაობ, უკვე დავასრულე, სრულყოფილი და ლიცენზირებულია. იბეჭდება მეუფე შიოს ლოცვა-კურთხევით, ხოლო მისი გამოცემის ორგანიზება ითავა ბატონმა ზურაბ ცომაიამ...

— რაც შეეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს, საბოლოოდ იგი განთავსდება დღეისათვის უკვე აღდგენილ და მოქმედ ზემო თეკლათის დედათა მონასტერში არსებულ სენაკისა და ჩხოროწყუს ეპისკოპოსის შიო მუჯირის სარეზიდენციო შენობაში...

**იოსებ გობეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

## საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების საყურადღებოდ!

**სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთი“, საქართველოს პოლიტიკისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიები და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი** ამავე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის 45, VI სართული) საზოგადოების წევრთა, მეცნიერთა, პედაგოგთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა თხოვნით, 2007 წლის დეკემბერში სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 13 საათიდან 15 საათამდე ერთობლივად აწყობენ **საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებთან წინასაარჩევნო შეხვედრებს.**

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს, ვისაც საამისო სურვილი აქვთ, ვთხოვთ, წინასწარ — სამი დღით ადრე წერილობით გვაცნობონ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულიდან რომელ დღეს არიან თანახმა ასეთი შეხვედრისა.

**ალექსანდრე კუჭუხიძე,**
*საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრის კოორდინატორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.*

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

**ანეკდოტები**

— ვასილ ივანიჩ, როგორ ფიქრობ, ვინ იქნება რუსეთის პრეზიდენტი? — ეკითხება პეტკა ჩაპაევს.
— რა თქმა უნდა, პუტინი, პეტკა. მაგრამ მისი გვარი იქნება ივანოვი.
— აა, გასაგებია, კონსპირაციისთვის, ხომ?
— არა, პეტკა, კონსტიტუციისთვის.



* * *

— როგორღაც დავბრუნდი მივლინებიდან და...
— ცოლის საყვარელი კარადაში აღმოაჩინე?
— არა, უბრალოდ, გარაჟის უკან ჩავმარხე.

* * *

მეგონა, — ამბობს პეტკა, — რომ პედარასტები და ჰომოსექსუალისტები ერთი და იგივენი იყვნენ. სინამდვილეში კი გამოვიდა, რომ პედერასტები პუტინის წინააღმდეგ არიან, ჰომოსექსუალისტები კი — არა.

* * *

მხოლოდ რუსეთში შეიძლება გახდეს კაცი იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომლის წევრიც იგი არ არის.

* * *

რუსეთის საპარლამენტო არჩევნებში სხვებზე მეტ ხმებს მიიღებს ის პარტია, რომელიც თავის წევრებს თავადვე გადაუხდის საწევროს.

**კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.